ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 22 მარტი, 2017 №68 (7303) ფასი: 50 თეთრი

გიორგი ქადაგიძე: „სამინისტროებს 8-10-მდე შევამცირებდი“



გვ.2

21 მარტიდან
რეი ბრედბერი
მარსის ქრონიკა
ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი

ემზარ კვიციანი: „მოსმენების კანონზე ვეტოს დადება პრეზიდენტს ჩვენ ვთხოვეთ“

„ნდობის ჯგუფის ერთი წევრი რუსეთის მოქალაქეა“

გვ.3

დაპირისპირება კანცელარიასთან

გვ.2

„ქედის მოსახლეობის მესამედი გამგეობაშია დასაქმებული“

გვ.4

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ამათ ხელში ეს ქვეყანა კიდევ კარგად არის“

პუტინმა თიბილოვს მხარდაჭერა გამოუცხადა

გვ.5

კოკოითიმ ოსებს გაღვიძებისკენ მოუწოდა

ლევან ჩაჩუა: „ამერიკელი პროკურორები ამერიკული გრანტების ხარჯვის მიზნობრიობას საქართველოში შეისწავლიან“

გვ.4

„არ შეიძლება, აჭარაში საპარტულო პოლიციის ხელმძღვანელობა ნაცმოძრაობის „ზონდერს“ ჩააბარო“

გვ.5

მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლებაზე პოლიტიკურ ზეწოლას გავაგრძელებთ“

„საარჩევნო კოდექსით, პოლიტიკურ პარტიებს არჩევნების გზით ხელისუფლების დამარცხება გვეკრძალება“

რამაზ საყვარელიძე: „კვირიკაშვილის შემცვლელი არ ჩანს“

გვ.2

„ევროპაში მოგზაურობაზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად, ავიაბილეთების ფასებიც იზრდება“

გვ.6



ბრაზილიური ხორცის სკანდალი გრძელდება - ქვეყანაში ხორცის გადამამუშავებელი 3 ქარხანა დახურეს

გვ.6

ISSN 1987-9385

რამაზ საყვარელიძე: „კვირიკაშვილის შემცვლელი არ ჩანს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.

– ბატონო რამაზ, როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა მოსმენების კანონს ვეტო დაადო. როგორ აფასებთ პრეზიდენტის ბოლოდროინდელ ნაბიჯებს? კეთდება შეფასებები, რომ მარგველაშვილი აქტიურ პოლიტიკაში შემოსვლას გეგმავს. ასეა?

– ფაქტია, რომ გეგმავს, რადგან ის ძალიან აქტიურია. ჩვეულებრივ, ასეთი აქტიურები არ არიან ხოლმე საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტები, მათი უფლებამოსილების შეზღუდულობიდან გამომდინარე.

თუკი აქტიურ პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს პრეზიდენტი, ის, ალბათ, მხარდამჭერებზეც ფიქრობს და, ალბათ, უკვე იკვეთება ის წრეებიც, რომელთა მხარდაჭერაც ექნება პრეზიდენტს, თუკი შემოვიდა პოლიტიკაში სხვა ფუნქციით. ეს ყველაფერი სამომავლოდ...

– მის მორიგ ვეტოზე რას იტყვით? უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მისი დაძლევა პრობლემას არ წარმოადგენს.

– რაც შეეხება მის მორიგ ვეტოს, არის მართლაც ეს პრობლემა, რომ ერთი და იგივე ხერხი, ხშირად გამოყენებული, მერე პოლიტიკურ ეფექტსა და შედეგს კარგავს. რა თქმა



უნდა, უმრავლესობისთვის ამ ვეტოს დაძლევა არ არის პრობლემა, მაგრამ ისმის საკითხი – რამდენად მიზანშეწონილია? რამაც გაიჟღერა პრეზიდენტის მოწოდებაშიც, რომ კი დაძლევთ, მაგრამ დაუფიქრდით, რომელი კანონია სწორიო. ერთ მხარეს არის 150-კაციანი პარლამენტი, მეორე მხარეს – პრეზიდენტის ადმინისტრაციის ის ნაწილი, რომელიც მუშაობდა ამ კანონზე და თქმა იმისა, რომ ამ მცირე ჯგუფის პოზიცია ან მათთან მყოფი ენჯეოებისა უფრო გამართულია, ვიდრე მეორე ჯგუფის, საკმაოდ ძნელია.

– თქვენი პოზიცია როგორია?

– მე მაინც ვთვლი, რომ ამ ეტაპზე ეს კანონი გამართლებულია სახელმწიფოს გაუმჯობესებისთვის, რადგან, თუკი გაიშლება ეს გასაღებები სხვადასხვა სტრუქტურაში, რასაც მეორე მხარე ითხოვს, არის იმის რისკი, რომ დაიკარგოს სახელმწიფო კონტროლი გასაღებზე და არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა ქვეყნებმა დაიწყონ თვალთვალი.

– თქვენ ამ საფრთხეებს ხედავთ?

– რეალურად არის ამის საფრთხე. მსოფლიო პრესას ყველა ვადევნებთ თვალს და ვხედავთ, რომ ხელისუფლების უმაღლესი დონის ინფორმაცია გადის მეორე ქვეყნის ხელისუფლების სპეცსამსახურებში. აი, ამ დონეზეა სიტუაცია. დღეს ევროპის ქვეყნების ლიდერები არ არის დაცული ამგვარი თვალთვალისგან. ვერ ხერხდება. ახლა ამ პირობებში ენჯეოებსა და კიდევ სხვა პირებს გაუნაწილო ის პასუხისმგებლობა, რომ შეეძლოთ თვალთვალი ამა თუ იმ პირისა, მგონი, საკმაოდ სახიფათოა.

– ანუ იმ ფორმით არის მისაღები, რა პრინციპზეც უმრავლესობა ჩამოყალიბდა?

– ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ამ ფორმით და მერე ვნახოთ. არის კიდევ მეორე ასპექტი – ჩვენ მხოლოდ რამდენიმე პრეცედენტით ვმსჯელობთ, რომ მოსმენებს აქვს ადგილი. იქნებ იმაზეა ფიქრი საჭირო, როგორ შევქმნათ მეტ-ნაკლებად გარანტირებული მექანიზმი იმისა, რომ დავადასტუროთ ფაქტი, არის მოსმენები თუ არ არის. თუკი ეს მექანიზმი არ გვექნა, მხოლოდ გასაღებების გადანაწილება, მგონი, გარანტიას ვერ იძლევა. ხომ არ ამთავრებს ქვეყანა ცხოვრებას ამ კანონმდებლობით?!

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, პრეზიდენტს ვეტო არ უნდა დაედო? თუმცა, გვესმის შეფასებები, პრეზიდენტს არ სურს, თანამონაწილე გახდეს, პასუხისმგებლობა აიღოს იმაზე, რასაც უმრავლესობა გვთავაზობსო. ასეა? ამით აიხსნება მისი ვეტოები?

– და ასეთს რას გვთავაზობს უმრავლესობა?! რომ არის რისკი იმისა, სახელმწიფომ თუ მოინდომა, უკანონო თვალთვალს განახორციელებს. ჯერ ვნახოთ, აღსრულდება ეს რისკი თუ არა. თუ რისკი რისკად რჩება, მაშინ რატომ ქმნი ამხელა პრობლემას?! მით უმეტეს, როდესაც მეორე მხარეს არის უფრო დიდი რისკი, რომ, შესაძლოა, უკანონო თვალთვალი განახორციელოს სახელმწიფომ კი არა, არამედ სრულიად სხვამ, უცხო ქვეყანამ! ეს რისკი არ აწუხებთ იმათ, ვინც ამ პოზიციას იკავებს?! აი, ეს არის ჩემთვის ცოტა გაუგებარი. ამიტომ, რაც უფრო ფრთხილად გადაიდგმება ნაბიჯები იმ საკითხებში, რომელიც სახელმწიფოს უშიშროებას ეხება, მგონი, აჯობებს. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი უშიშროების ხელში ჩავარდეს, მაგრამ აქაც სიფრთხილე და ზომაა საჭირო!

– 7 აპრილს პრეზიდენტი პარლამენტში მივა. არის მოლოდინი, რომ სერიოზული დაპირისპირების ფონზე წარიმართება მარგველაშვილის გამოსვლა. თქვენ რას ელოდებით?

– იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტმა საკმაოდ საყვედურიანი განცხადება გააკეთა ამ ბოლო ვეტოსთან დაკავშირებით, მან ჩამოთვალა წინა შემთხვევები, როდესაც ის სწორი იყო და პარლამენტი – მცდარი და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ პარლამენტში ეს დაპირისპირების ხაზი გაგრძელდება. არ არის გამორიცხული, საკმაოდ დინამიკური აღმოჩნდეს პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა.

– ხომ არ იწყებს წინასაარჩევნო კამპანიას გიორგი მარგველაშვილი?

– მას მერე, რაც მისი და ივანიშვილის გზები გაიყარა, მას ეს კამპანია არც შეუწყვეტია, სულ ამ რეჟიმშია, სულ ცდილობს, იყოს საზოგადოების თვალსაწიერში და საარჩევნო კამპანია მეტი არაფერია!

– ბატონო რამაზ, ასევე საუბარია იმის თაობაზეც, რომ, ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მმართველ გუნდშიც დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. აქტიურად საუბრობენ გიორგი კვირიკაშვილის შეცვლაზეც. კულუარებიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ კაჭრეთის შეხვედრაზე ის საკუთარ გუნდს გამოემშვიდობა. ელით ასეთ ცვლილებას?

– კვირიკაშვილის შემოსვლას ძალიან ბევრი და მათ შორის მეც ძალიან მაღალი შეფასებით შევხვდით. მისი პირველი პოლიტიკური ნაბიჯები მართლაც ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა, გავიდა დრო და განცხადებების იქით პრაქტიკულად არაფერი შეიცვალა და პროცესები, გინდ ეკონომიკურ პოლიტიკაში და გინდ საკადროში, აქტიურად გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც საგრძნობი იქნებოდა მოსახლეობისთვის, არ ჩანს. სირთულეები არის და ეს საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ კარგი კადრი შეიცვალოს, არ ვიცი. ასეთ დროს საუბარია იმაზე, ჰყავს თუ არა შემცვლელი, თორემ პრობლემები ნამდვილად არის.

– თქვენ ვერ ხედავთ ამ ეტაპზე კვირიკაშვილის შემცვლელს?

– ეს პროცესები შიდა სამზარეულოში იხარშება და ამ ეტაპზე ამას ჩვენ ვერც დავინახავთ. არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც – კვირიკაშვილს და, შესაძლოა, მთლიანად მთავრობას უკავშირდება და ამანაც დიდი გავლენა იქონია ამ პროცესზე, რომელსაც უკმაყოფილება ჰქვია. ძალიან ხშირად ამა თუ იმ საქმეზე ითქმოდა, რომ ეს აუცილებლად მივა ბოლომდე, არაერთი ხმამაღალი განცხადება მოგვისმენია, დანაპირები ხშირად იყო და თითქმის არცერთი დანაპირების ფინალი არ გვინახავს.

– ითქვა ისიც, რომ კვირიკაშვილისა და ივანიშვილის გზები გაიყარა. ასეა?

– ვერ გეტყვით, ეს უკვე სამზარეულოს დონეა.

დაპირისპირება კანცელარიასთან

„ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებული მოვაჭრეების ნაწილი ერთ თვეზე მეტია შიმშილობს. როგორც დაზარალებულები აცხადებენ, მთავრობა მათ არანაირ ყურადღებას არ აქცევს.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. დაზარალებულებმა კანცელარიასთან კარვების გაშლა ცადეს, მაგრამ სამართალდამცველებმა მათ კარვები ჩამოართვეს.

– ჩვენ ვართ უუფლებო ხალხი. არავინ გვაქცევს ყურადღებას. პოლიციელებმა ჩვენი უფლება დაარღვიეს, კარავი ჩამოგვართვეს. ჩვენ არ გაგვირღვევია კანონი, გავაფრთხილეთ თბილისის მერია, – განუცხადა „ახალ თაობას“ ერთ-ერთმა დაზარალებულმა.

დაზარალებულთა ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი დღეს პროკურატურას სარჩელით მიმართავენ.

ანა დოლიძე დეპუტატებს საყვედურობს

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან ანა დოლიძის შეფასებით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული შენიშვნების შინაარსობრივი და სამართლებრივი განხილვის ნაცვლად ადგილი ჰქონდა პოლიტიკურად მოტივირებულ დისკუსიას.

– ჩვენ მოვედით მთავარი მოტივით, რომ ჩვენი შენიშვნებით შეგვექმნა უკეთესი სისტემა, დაწერილიყო უკეთესი კანონი, შექმნილიყო უკეთესი ორგანო, მაგრამ დაგვხვდა სრულიად პოლიტიკურად ორიენტირებული და მოტივირებული დისკუსია თავისი რეპლიკებით. შინაარსობრივი და სამართლებრივი დისკუსიიდან პოლიტიკურ დისკუსიაში გადატანა არ არგებს და აზიანებს კანონმდებლობის ხარისხს, რომლის გაუმჯობესებასაც ყველა ერთად უნდა ვცდილობდეთ, – განუცხადა ჟურნალისტებს ანა დოლიძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ. კომიტეტმა ფარულ მოსმენებზე პრეზიდენტის საკანონმდებლო შეთავაზებებს მხარი არ დაუჭირა.

ინტერპრესნიუსი

გიორგი ქადაგიძე: „სამინისტროებს 8-10-მდე შევამცირებდი“

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მორიგ პოსტს აქვეყნებს, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ.

– მხოლოდ კრიტიკა ადვილიაო. ჰოდა, არაფერი ახალი, მაგრამ მაინც ჩამოვწერ აგერ ფბ მეგობრებისთვის ჩემს მოკრძალებულ აზრს, თუ რას გავაკეთებდი:

გავაერთიანებდი უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოს. უპრეცედენტო საჯაროობით ავირჩევდი ახალ მოსამართლეებს სამივე პალატაში (სულ 15 მოსამართლეზეა საუბარი). ამითი რეალურად დაიწყებოდა სასამართლო რეფორმა. თავიდან არის დასაწერი სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოდექსები. იდეოლოგიურ საფუძვლად დავუდებდი ინგლისურ სამართალს. შევამცირებდი სამინისტროებს 8-10-მდე. გავაუქმებდი გუბერნატორების, ფინანსური პოლიციისა და სუსის ინსტიტუტებს. რეალურ ფინანსურ დეცენტრალიზაციასთან ერთად არჩევითს გავხდიდი ყველა გამგებლის და მერის პოზიციას. ასევე არჩევითს გავხდიდი სამხარეო პროკურორის თანამდებობას.

თბილისს დავყოფდი მუნიციპალიტეტებად და აქაც არჩევითს გავხდიდი გამგებლებს. გაუგებარია, 300.000-იან გლდანს რატომ არ უნდა ჰყავდეს არჩევითი მმართველი, როდესაც 6-ჯერ პატარა უამრავ რაიონს ჰყავს.

გავაუქმებდი პარლამენტის მაჟორიტარულ სისტემასა და პრეზიდენტის ინსტიტუტს. სასკოლო განათლება იქნებოდა მთავარი პრიორიტეტი. დარწმუნებული ვარ, არაფერი გამოგვივა ქვეყანაში, სადაც 15 წლის მოზარდებს მათემატიკას, წაკითხულის გააზრებასა და ინგლისურს ვერ ვასწავლით საშუალო ევროპული ხარისხითაც კი.

კიდევ არის იდეები, მაგრამ სხვა დროს, – წერს ქადაგიძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ემზარ კვიციანი: „მოსმენების კანონზე ვეტოს დადება პრეზიდენტს ჩვენ ვთხოვეთ“

შორენა მარსაგიშვილი

ჰაზე იღაპარაკეს პრეზიდენტთან, აპირებენ თუ არა მასთან თანამშრომლობას, რატომ არის უცნაური 21-ე საუკუნის ქართული პოლიტიკა, ვის არ უნდა ნაციონალების ბოლომდე ჩაძირვა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პატრიოტთა ალიანსის ეთი-ეთი ღიდური ემზარ კვიციანი ესაუბრება.

– პატრიოტთა ალიანსი „ევროპული“ საქართველოს მსგავსად მხარს უჭერს პრეზიდენტის ვეტოს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ან ერთთან, ან მეორესთან თანამშრომლობას აპირებთ?

– 21-ე საუკუნის ქართული პოლიტიკა ძალიან გაუგებარი და უცნაურია. აქ ხმამაღლა ერთმანეთს ლანძღავენ, სინამდვილეში კი ერთმანეთთან თანამშრომლობენ. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ არც მარგველაშვილთან და არც „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობას არ ვაპირებთ.

თავად ვეტოს რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი სწორად უნდა მოქცეულიყო. მოსმენების კანონზე ვეტოს დადება პრეზიდენტს ჩვენ ვთხოვეთ.

– როდის სთხოვეთ ამის გაკეთება პრეზიდენტს?

– როცა მასთან გვქონდა შეხვედრა.

– რა ფორმატში შედგა ალიანსის და მარგველაშვილის შეხვედრა?

– მასთან შესახვედრად საპარლამენტო ფრაქციის წევრები მივედით. პირადად მე ამ შეხვედრით კმაყოფილი ვარ. მარგველაშვილი არ ტოვებს ცუდი ადამიანის შთაბეჭდილებას.

– ამბობენ, რომ მარგველაშვილი თავის პოლიტიკურ გუნდს ქმნის და თუ შემოგთავაზათ, ითანამშრომლებთ მასთან?

– როგორც პრეზიდენტთან, სალაპარაკოდ მივალთ და ამ ფორმატში ვითანამშრომლებთ. სხვანაირ თანამშრომლობას კი გამოვრიცხავ. გაზეთებში წერენ, რომ ის რესპუბლიკელებთან ერთად აპირებს გუნდის შექმნას, ჩვენ და რესპუბლიკელები კი ერთად ვერ ვიქნებით.

– პრეზიდენტზე ვსაუბრობთ და საინტერესოა, რას ფიქრობთ პატრიოტთა ალიანსში მარგველაშვილის და ხელისუფლების დაპირისპირებაზე?

– ზევითაც გითხარით, რომ 21-ე საუკუნის პოლიტიკა დიდი უცნაური რამეა და მე მას ვერაფერი გავუგე. სააკაშვილი სულ რუსებს ლანძღავდა და მერე გაირკვა, რომ მაგათი კაცი იყო. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა, რომ „ოცნება“ და მარგველაშვილიც შეთანხმებულად მტრობდნენ ერთმანეთს. როგორც ვატყობ, პოლიტიკაში ყველაფერი შესაძლებელია. ქართულმა პოლიტიკამ კი ის დამანახა, რომ თურმე შესაძლებელია ადამიანს ღიად აგინო, სინამდვილეში კი მასთან თანამშრომლობდე.

– ამ ლოგიკით პატრიოტთა ალიანსის და ნაციონალების თანამშრომლობაც შესაძლებელია.

– არა, ეგ შეუძლებელია. ნაციონალები იმას ვერაფრით მოინელებენ, რაც ალიანსმა მაგათ დამართა.

– რა დამართა?

– დღეს რომ ეგენი ეგეთ უბედურ დღეში არიან ჩვენი, პატრიოტების დამსახურებაა. ციხის კადრები, რომელმაც მათ ბოლო მოუღო, ჩვენ გავიტანეთ საქართველოდან და ჩვენი წყალობით მოხდა მათი გასაჯაროება. ეს ამათ დღემდე მწარედ ახსოვთ და ყველაფერს გააკეთებენ, რომ სამაგიერო გადაგვიხადონ.

– სამაგიეროს გადახდისა რა გითხრათ, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ნაციონალური მოძრაობა მზად იყო ალიანსისთვის მხარი დაეჭირა.

– მე ასეთი რამე არ მახსოვს და ვერ დავიჯერებ, რომ მათ ჩვენი მხარდაჭერა უნდოდათ.

– საგარეჯოს რიგგარეშე არჩევნების შემდეგ პატრიოტთა ალიანსმა პროტესტის ნიშნად მთავრობის ადმინისტრაციასთან შიმშილობა დაიწყეთ. მაშინ ნუგზარ წიკლაურმა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი მზად იყვნენ თქვენი პარტიისთვის მხარი დაეჭირათ. ამაზე რას იტყვით?

– ეგ არ არის მხარდაჭერა. ძალიან კარგად ვიცი, მაგათ რაც გულში უდევს. არანაირი მხარდაჭერა მაგათ არ უნდოდათ, ეს განცხადება მხოლოდ იმიტომ გააკეთეს, რომ ჩვენი გული მოელბოთ, რაც არ გამოუვათ. ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენ წარსულს არ ვივიწყებთ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ პასუხი აგონ ჩადენილზე.

– თქვენ როცა პარლამენტში შეხვედით, თქვით, რომ 2006 წლის კოდორის მოვლენებს გამოიძიებდით. ამ მხრივ რა ხდება?

– ამ საქმეს აუცილებლად მივიყვან ბოლომდე. ჩემს სიმართლეს რომ დავამტკიცებ, ამაში ეჭვი არ მეპარება. მინდა ხალხმაც იცოდეს, რა მოხდა სინამდვილეში. ამის გაკეთებაში კი სერიოზულად მიშლიან ხელს.

– ვინ გიშლით ხელს?

– ბევრი ვინმე. ალბათ გახსოვთ, ნდობის ჯგუფზე რამდენი ომი იყო. ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენ ამ ჯგუფში არ მოვხვედრილიყავით. მიზეზად ის დაასახელეს, რომ ჩვენ პრორუსული ძალა ვართ. ამ დროს ნდობის ჯგუფის 4 წევრიდან ერთ-ერთი რუსეთის მოქალაქეა.

– მის ვინაობას არ დაასახელებთ?

– არ დავასახელებ. მისი ვინაობა დაადგინოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა. დარწმუნებული ვარ, რომ მათაც კარგად იციან.

– თუ იციან, რატომ არიან ჩუმად?

– იმიტომ, რომ ასე აწყობთ. მისი არჩევა რომ არ სდომებოდათ, არც აირჩევდნენ. ჩვენ პრორუსულ ორიენტაციას გვაბრალებენ და თავად ნდობის ჯგუფში რუსეთის მოქალაქე ყავთ. ამ თემაზე მედიასაც არაერთხელ ვესაუბრე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია. ეს უკვე სერიოზულ ეჭვებს იწვევს.

ეჭვებს იწვევს ის ფაქტიც, რომ ნდობის ჯგუფში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელიც მიიწვიეს. როგორ შეიძლება ასეთ მნიშვნელოვან ჯგუფში იმ პარტიის წარმომადგენელი გყავდეს, რომლის ლიდერიც კაგებესთან თანამშრომლობდა.

– ვინ თანამშრომლობდა კაგებესთან?

– ვინ და ბოკერია, მაგას მე პარლამენტში ბევრი რამე გავახსენე და ხმაც ვერ გამცა. დაირქვეს უსირცხვილოდ „ევროპული საქართველო“ და ხალხის ნერვებზე თამაშობენ. მაგათ რუსული საქართველო უნდა ერქვას სახელად. კოდორის მოვლენების გამოძიებას მაგათ გარდა ხელს დაუკრეფავი ნაციონალებიც უშლიან.

– დაუკრეფავ ნაციონალებში ვის გულისხმობთ?

– აჭარაში მანდარინს რომ კრეფენ, ნაწილი ხეებზე რჩება და მას დაუკრეფავს ეძახიან. დაუკრეფავ ნაციონალებში იმ ნაციონალებს ვგულისხმობ, ამ პარტიაში რომ დარჩნენ. „ევროპული საქართველო“ კი დაკრეფილი ნაცები არიან.

– გამოდის, რომ ხელს ყოფილი ხელისუფლება გიშლით და მოქმედი რატომ არაფერს არ აკეთებს ამის გამოსაძიებლად? წესით ხომ უნდა აწყობდეს „ოცნებას“ ნაციონალების შავი საქმეების გამოძიება?

– წესით უნდა აწყობდეს, მაგრამ აქ, ეტყობა, არის მეორე წესი, რომლის მიხედვითაც სიმართლე არც მათ არ აწყობთ.

– „ოცნებას“ რატომ არ უნდა აწყობდეს სიმართლე?

– ალბათ აქვთ საამისოდ რაღაც მიზეზები. მე მაინც დავადგენ სიმართლეს და ყველა ყველაფერს გაიგებს. პროკურატურა ამ მხრივ ძალიან მოწადინებულია. ჩემი დის, ნორას საქმე ხომ გახსოვს? ეს საქმე თავიდან ძალიან სწრაფად და ხარისხიანად გამოიძიეს. ნება თუ იქნა, სხვა საქმეებსაც გამოიძიებენ და ჩემს ნორასავით ბევრი გამართლდება. ნაციონალებმა ბევრს დაუნგრიეს ცხოვრება და ბევრი ატარეს წლების მანძილზე სხვადასხვა იარლიყებით, უკვე დროა, ხალხმა სიმართლე გაიგოს.

– ერთ-ერთ წინა ინტერვიუში თქვენ გვითხარით, რომ ალიანსი აფხაზეთის საკითხის განხილვას ითხოვს. აქამდე არ მიგიღიათ ამ მოთხოვნაზე პასუხი?

– მათი გაუცემელი პასუხი ჩემთვის უკვე პასუხია და დასკვნების გაკეთებაც აღარ არის ძნელი. აშკარაა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ამ ხელისუფლების პრიორიტეტი აღარ არის. ამ თემაზე ისე უვლიან გვერდს, თითქოს ტერიტორიები არ დაგვიკარგავს. ამ პრობლემაზე აღარც დასავლეთთან ვსაუბრობთ.

პრეზიდენტთან შეხვედრაზე გიორგი მარგველაშვილს ვკითხე, რა პოზიცია აქვს ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებთან დაკავშირებით დასავლელ პარტნიორებს. მან მიპასუხა, რომ დასავლეთს უნდა, რომ პრობლემა მოგვარდეს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთისთვის სულ ერთია, რა ბედი ეწევა დაკარგულ ტერიტორიებს, მათთვის მთავარია, კონფლიქტი არ იყოს. რუსეთს, გასაგებია, რომ არ უნდა ამ ტერიტორიების დაბრუნება. ეს ერთადერთი ჩვენ გვინდა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებაც არაფერს აკეთებს.

გოგა ხაინდრავა აშშ-ის ელჩ იან კელის საგანგებო წერილით მიმართავს

რეჟისორი გოგა ხაინდრავა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ იან კელის საგანგებო წერილით მიმართავს.

– მოგმართავთ, როგორც საქართველოში თავისუფალი მედიისა და კონკრეტულად ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სარედაქციო დამოუკიდებლობის დიდ ქომაგსა და გულშემატკივარს.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ტელეკომპანია რუსთავის 2-ის გენერალური პროკურორის, უკაცრავად, გენერალური დირექტორის, წერილობითი ინსტრუქცია რუსთავის 2-ის დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და თავისუფლებისმოყვარე თანამშრომლებისთვის. გაახლებთ რა ბატონი გვარამიას განკარგულებების ორიგინალურ ტექსტსა და მის ინგლისურენოვან თარგმანს, გამოვთქვამ ღრმა და ყოვლისმომცველ შეშფოთებას საქართველოში დამოუკიდებელი მედიასაშუალების, კერძოდ, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სარედაქციო თავისუფლებისთვის შექმნილი საფრთხის გამო.

მინდა მჯეროდეს, რომ ბატონი გვარამიას ეს უმსგავსო გამოხდომა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ობიექტური ჟურნალისტიკისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის მიმართ თქვენი ყურადღების მიღმა არ დარჩება. აღნიშნული ფაქტით თქვენი სამართლიანი გულისწყრომა, რომლის საჯაროდ გამოხატვის იმედი მაქვს, ხელს შეუწყობს ქართულ მედიაში პლურალისტული გარემოს შენარჩუნებას. ამასთან, მჯერა, რომ ამ მიმართულებით თქვენს ძალისხმევას საერთაშორისო საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს და, შედეგად, საქართველოში მედიის თავისუფლებასა და სარედაქციო დამოუკიდებლობას საფრთხე აღარ დაემუქრება, – აღნიშნავს წერილში გოგა ხაინდრავა.

გოგა ხაინდრავა საგანგებო მიმართვის ასლს ასევე უგზავნის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროპარლამენტარებს.

ინტერპრესნიუსი

„შევეცდებით, უმაღლესი განათლებიდან ხალხი პროფესიულ განათლებაში „გადავიტყუოთ“

2016 წელს სკოლადამთავრებული ქართველი ახალგაზრდები გაიყო ორ ნაწილად – 75% წავიდა უმაღლეს სასწავლებლებში, 25% კი – პროფესიულში.

ამის შესახებ ვიცეპრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განათლების რეფორმის კონცეფციაზე საუბრის დროს განაცხადა.

ალექსანდრე ჯეჯელავას განმარტებით, შრომის ბაზარი არის ზუსტად პირიქით და ახალგაზრდების 25% უნდა მიდიოდეს უმაღლეს განათლებაში, 75% კი ხდებოდეს პროფესიული სპეციალისტი.

მინისტრის განცხადებით, მთავარი აქცენტი გაკეთდება იმაზე, რომ უმაღლესი განათლებიდან ხალხი „გადაიტყუონ“ პროფესიულ განათლებაში.

– ბუღალტერი, ექთანი, პროგრამისტი, ელექტრიკოსი, შემდუღებელი, ფილების დამგები სანთლით არის საძებარი. ამ მიმართულებით იქნება მთავარი აქცენტი. ჩვენ შევეცდებით, უმაღლესი განათლებიდან ხალხი გადავიტყუოთ პროფესიულ განათლებაში.

10 წლის მერე ჩვენი ამოცანა არის ასეთი, რომ ქართული სკოლიდან გამოსული ადამიანი ფლობდეს, უნარების, რწმენების, ფასეულობების ისეთ პაკეტს, რომელიც არის თანამედროვე ცხოვრებისთვის საუკეთესო და მეორე, სკოლის მერე ეს ხალხი გაიყოს – 75% წავიდეს პროფესიულ განათლებაში, 25% – უმაღლესში.

ვინც უმაღლესში წავა, მართლა მაგარი აკადემიური ტიპი გამოვიდეს, ვინც პროფესიულში წავა, მაგარი სპეციალისტი გახდეს და, საბოლოო ჯამში, მოვიდნენ მართლაც დაბალანსებულ შრომით ბაზარზე, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე განმარტებით, რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იქნება სკოლა, სადაც ბავშვები არ იქნებიან „დატანჯულები“.

– ვაპირებთ, სკოლა გავხადოთ სახალისო, საინტერესო, არაგადატვირთული ადგილი, სადაც ბავშვებს სიხარულით ენდომებათ წასვლა, იმიტომ, რომ მათ ექნებათ საინტერესო, შესაფერისი ცხოვრება და არ იქნებიან დატანჯულები, – განაცხადა მინისტრმა.

კომერსანტი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ლევან ჩაჩუა: „ამერიკელი პროკურორები ამერიკული გრანტების ხარჯვის მიზნობრიობას საქართველოში შეისწავლიან“

მარიამ მჭედლიშვილი

ჰამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუას

– თქვენმა მოძრაობამ ორი საპროტესტო აქცია ჩაატარა ნეოლიბერალების წინააღმდეგ. ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრებები იმაზე, რომ ულტრალიბერალები საქართველოში ახალ რევოლუციას ამზადებენ. რევოლუციისთვის მზადების ნიშნებს თქვენც ხედავთ?

– საბედნიეროდ, ამის ნიშნებს ვერ ვხედავ. ლიბერალური ინტერნაციონალი ყველგან კარგავს პოზიციებს. აშშ-ში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ შეიცვალა ამერიკული პოლიტიკის ფილოსოფიის მოდელი. ახალი ადმინისტრაცია დაუპირისპირდა მარგინალურ ლიბერალურ ინტერნაციონალს, რომელმაც მსოფლიოში ხალხს თავი მოაბეზრა. თეთრი სახლი ორიენტირებულია ღვთის რწმენაზე, პატრიოტიზმსა და ოჯახების სიძლიერეზე. ამერიკამ ხელი აიღო სექსუალური უმცირესობების უფლებების აგრესიულად დაცვასა და ცხოვრების წესის სხვა ქვეყნებისათვის მოხვევაზე. ეს მიმართულებები აღარ ფინანსდება.

– რასაც ყველა არ ეთანხმება.

– ბუნებრივია. ამან გამოიწვია ლიბერალური ინტერნაციონალის რევანშისტული მოქმედებები. სოროსმა დააფინანსა ტრამპის საწინააღმდეგო აქციები აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. ლიბერალური ინტერნაციონალის აქტივისტების შეკრებები და მსვლელობები პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად ჩატარდა. ჩვენი სამარცხვინო პოლიტიკური ელიტა, რომელიც, ლიბერალური ინტერნაციონალიდან იმართება, იდეოლოგიურად, რა თქმა უნდა, აქციებს მიემხრო. ჩვენი ტელევიზიებიც მთავარ თემებად ტრამპის საწინააღმდეგო აქციებს აშუქებდნენ.

– იქნებ ლიბერალური ინტერნაციონალი პოზიციებს არ კარგავს?

– ლიბერალური ინტერნაციონალი, რევანშისტული გამოვლინებების მიუხედავად, სულს ღაფავს. აშშ-ში სერიოზული ბრძოლა გამოუცხადეს პედოფილებს, რომლებსაც თავზე ხელს უსვამენ ლიბერალები. ლიბერალურ ინტერნაციონალს რომ შავად აქვს საქმე, ამის თქმის საფუძველს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაძლევს. ეს ახალი ამბავია და საჯაროდ პირველად ვამბობ. საქართველოში აშშ-დან ჩამოდის პროკურორთა ჯგუფი. ამერიკელმა პროკურორებმა უნდა შეისწავლონ იმ გრანტების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება, რომელიც საქართველოს გამოეყო. ეს იუსაიდის ეგიდით გამოყოფილი გრანტებია.

– უკრაინაშიც უნდა შეესწავლათ ამერიკული თანხების საკითხი.

– დიახ. უკრაინაში ამის გამოკვლევა უკვე მიმდინარეობს. ყველაფერს გამოძიება დაადგენს. მე მხოლოდ ეჭვს გამოვთქვამ. არ არის გამორიცხული, რომ ამ მხრივ დიდი დარღვევები და შავი ფულის გათეთრება იყოს როგორც ამერიკული, ისე საქართველოს მხრიდან. არის ინფორმაცია, რომ ამ საქმეში სენატორ მაკეინის ხელი ურევია. მოსალოდნელია, ამ თემას ბევრი გადაჰყვეს. საზოგადოებაც გაიგებს იმათ ვინაობას, ვინც გრანტების საფასურად ასე გაშმაგებით ებრძოდა ჩვენს სარწმუნოებას, კულტურასა და ტრადიციებს.

– ამერიკიდან ფული სხვა გზითაც შემოდის. სოროსის ფონდს არ შეუწყვეტია საქმიანობა.

– ლიბერალური ინტერნაციონალის ერთ-ერთ დამფინანსებელ სოროსს საქმიანობა არ შეუწყვეტია, მაგრამ მასაც არა აქვს ყველაფერი აწყობილი. სოროსს ფინანსური თუ არა, იურიდიული პრობლემები ექმნება. საქართველოს ხელისუფლება ისევ სოროსის მარიონეტად რჩება.

აღარაფერს ვამბობ კრიმინალურ დაჯგუფება ნაცმოძრაობაზე, რომელიც მთავარ ოპოზიციად ითვლება. გარედან დაფინანსებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგალითად, ფემინისტური მიმართულების, ძალიან არის გააქტიურებული. ამ ორგანიზაციებს უნდათ დაამტკიცონ, რომ მათთვის გამოყოფილი გრანტები მიზნებს ხმარდება.

– ბათუმის მოვლენებიც ახალ ფერად რევოლუციას დაუკავშირეს.

– ბათუმში 11-12 მარტს იყო შეწუხებული ადგილობრივი მოსახლეობის გულწრფელი პროტესტი. მძიმე სოციალური ფონის გარდა, ხალხი წინ აღუდგა უსამართლობასა და განუკითხაობას.

როგორ შეიძლება, აჭარაში საპატრულო სამსახურის ხელმძღვანელობა ჩააბარო ნაცმოძრაობის „ზონდერს“!

– აჭარის საპარტულო პოლიციის უფროსი ნაციონალების წარმომადგენელია?

– არა მარტო წარმომადგენელი, არამედ, ზონდერია“ პოლიტპატიმარი ფრიდონ მერაბაშვილი გორელია და ეს მისგან ვიცი. ამ ზონდერმა სხვა კუნთმაგარი გორელებიც ჩაიყვანა აჭარაში სამუშაოდ. ისინი 10-ლარიანი ჯარიმის მაგივრად ადამიანს 50-ლარიანს უწერდნენ, 50-ლარიანის ნაცვლად – 200-ლარიანს. ჩვენი ორგანიზაციის აჭარის ხელმძღვანელმა ტარიელ მახარაძემ ადრევე მაცნობა, რომ პატრულის თანამშრომლები გამომწვევად იქცეოდნენ. ყველაზე უარესი ის არის, რომ ისინი ადგილობრივ ძირძველ ქართველებს „თათრებს“ ეძახდნენ. თავიდან ყველაფერი დაიწყო ნამდვილი პროტესტით. შემდეგ ეს პროტესტი თავისი ბინძური მიზნებისათვის გამოიყენა დამნაშავე ნაციონალურმა მოძრაობამ, თუმცა, შედეგს ვერ მიაღწია.

ნინო გოგუაძე: „მე უშუალოდ ვმონაწილეობდი მესიჯბოქსების შედგენაში“

თავისუფალი დემოკრატების პოლიტიკური მდივნის ნინო გოგუაძის განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ რუსთავი 2-ის საქმეზე ერთობლივი მესიჯბოქსი ხელისუფლებისგან დგებოდა.

ის განმარტავს, რომ მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკურ მესიჯებს ფრაქციის წარმომადგენლები ერთად ადგენდნენ და შემდგომ აგზავნიდნენ პარლამენტში. ხელისუფ-

ლებაში ყოფნის დროს კი თავადაც მონაწილეობდა მსგავსი საერთო გზავნილების შედგენაში.

– მე უშუალოდ ვმონაწილეობდი ასეთი მესიჯბოქსების შედგენაში. მართალი რომ გითხრათ, ქართული ოცნება არ არის შემჩნეული ამის დისციპლინირებულად შესრულებაში. ნაციონალები გაცილებით უფრო კვალიფიციურად იცავდნენ მესიჯდისციპლინას, – განაცხადა ნინო გოგუაძემ.

ნინო გოგუაძის აზრით, პროკურატურა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, პოლიტიკური სტრუქტურები არ უნდა იყოს, რათა ინსტიტუტებს განვითარების საშუალება ჰქონდეთ.

– ეს ნიშნავს, რომ იმას, რასაც ჩვენ მკაფიოდ ვამბობთ, რომ პროკურატურა არ არის დეპოლიტიზირებული, ის არის პოლიტიკური პროკურატურა, რომ სუსი არ არის დეპოლიტიზირებული ისე, როგორც კონსტიტუციის მიხედვით უნდა იყოს დეპოლიტიზირებული.

თუ ისინი იღებენ პოლიტიკურ მესიჯებს, კიდევ ერთხელ დადასტურდება მათი პოლიტიზირება და ეს არის ძალიან ცუდი, – განაცხადა ნინო გოგუაძემ.

პირველი რადიო

„ქედის მოსახლეობის მესამედი გამგეობაშია დასაქმებული“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ამათ ხელში ეს ქვეყანა კიდევ კარგად არის“

შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლება გამუდმებით ქამრების შემოჭრის აუცილებლობაზე საუბრობს. საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით ათასობით ადამიანი გაათავისუფლეს საჯარო სამსახურებიდან. ეკონომიკური კრიზისის ფონზე ხელისუფლება ვერაფრით ვერ ელევა ბიუროკრატიულ ხარჯებს.

ამ მხრივ გამონაკლისს არც რეგიონების თვითმმართველობები წარმოადგენენ. პრემია-დანამატები და გაბერილი შტატები აქაც ძალიან ჰყვარებიათ. მათ საამურ ცხოვრებაზე მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ და პოლიტიკურმა პლატფორმამ „ახალი საქართველო“ ერთობლივი კვლევა ჩაატარეს.

როგორც „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბიძინაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, კვლევის შედეგები გამაოგნებელი იყო.

მედიაში არაერთხელ ამტყდარა ამბავი იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის მერიაში იმაზე მეტი ხალხია დასაქმებული, ვიდრე საჭიროა. ამ მხრივ ნარმანიას უწყებას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა აბაშის მუნიციპალიტეტის სახით.

– აბაშის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურში 120 კაცი მუშაობს, თუ წარმოვიდგენთ აბაშის ტერიტორიას, მივხვდებით, რომ ეს ციფრი საშინლადაა გაბერილი და თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობაზეც კი მეტია. ფაქტობრივად დასაქმების ბიუროდაა გადაქცეული აბაშის მუნიციპალიტეტი და კეთილმოწყობის სამსახური, – ამბობს ბიძინაშვილი.

ადამიანების დასაქმებაზე სხვა რაიონებშიც საგულდაგულოდ ზრუნავენ. მაგალითისათვის, მარნეულის მუნიციპალიტეტში 493 თანამშრომელზე მეტი მუშაობს. „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილის თქმით, თითქმის ნახევარი, მხოლოდ 3 ააიპ-შია დასაქმებული.

„მედიატორის“ ინფორმაციით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტშია 335 ადამიანი მუშაობს. აქედან 103 ააიპ-შია დასაქმებული.

– საინტერესოა, რომ ააიპ „კეთილმოწყობის ცენტრში“ 103 თანამშრომლიდან, 32 მუშა და 12 ბრიგადირია, ანუ ორ მუშაზე ერთი ბრიგადირი მოდის, – ამბობს ბიძინაშვილი.

მუშები და ბრიგადირები სხვა რაიონებშიც ძალიან პოპულარულები არიან. „ახალ საქართველოზე“ დაყრდნობით, „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ოზურგეთის გამგეობაში ერთ-ერთ რაიონში 42 მუშაა დასაქმებული.

მრავლისმნახველი „მედიატორისთვის“ ქედის გამგეობა ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა. აქ რაიონის მუნიციპალიტეტის ლამის მესამედი გამგეობაშია დასაქმებული. ერთი შეხედვით იმაში ცუდი არაფერია, როცა გამგეობა ხალხის დასაქმებაზე ზრუნავს. მაგრამ მეორე მხრივ, ცოტა უცნაურია, რომ პრაღის მერიაში ქედის გამგეობაზე ნაკლები ხალხი მუშაობს. ეტყობა, პრაღაში ცოტა საქმეა გასაკეთებელი.

დიმიტრი ბიძინაშვილს გული სწყდება იმაზე, რომ ქედის გამგეობას დასაქმებულთა რაოდენობის ამბავში ლონდონის მერიამ აჯობა. ამ ტკივილს მას ფოთის მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა „უქარვებს“.

– 2015 წლის მონაცემებით, ქედის მოსახლეობის რიცხვი 1.510 ადამიანს შეადგენს, საიდანაც 554 გამგეობაშია დასაქმებული ანუ რეალურად ვიღებთ შედეგს, რომ ლონდონის მერიაში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა, რამდენადაც სასაცილოდ არ უნდა მოგვეჩვენოს, მხოლოდ 281 ადამიანით აღემატება ქედის გამგეობაში დასაქმებულთა რიცხვს. ეს კიდევ არაფერი, ფოთის მერიაში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი თითქმის 1.5-ჯერ აჭარბებს ლონდონის მერიაში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვს. ფოთის მერიაში 1.000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ეტყობა, თბილისის და ფოთის მერიები ლონდონს დასაქმებულთა რაოდენობაში ეჯიბრებიან, საქმის კეთება კი არავის უნდა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილე.

დიმიტრი ბიძინაშვილს და ამ კვლევის სხვა ავტორებს პრემია-დანამატების მხრივაც სერიოზული სიურპრიზები შეხვდათ.

ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მარნეული: გამგეობაში მომუშავე 285 ადამიანზე გასულ წელს 636.951 ლარის ოდენობის პრემია გაიცა.

ფოთი: გამგეობაში მუშაობს 110 ადამიანი. შარშან მათ პრემიის სახით, 564.230 ლარი მიიღეს.

დანამატი – 21.700 ლარით განისაზღვრა.

ბიძინაშვილის განმარტებით, ქედამ სხვა მიმართულებითაც გამოიჩინა თავი. მაგალითისათვის, კვლევის თანახმად, ქედის გამგებელმა ერთ წელში 40.000 ლარზე მეტის სარგო და პრემია მიიღო, ფაქტობრივად რიგითი პარლამენტარის წლიური შემოსავალია.

„მედიატორი“ და „ახალი საქართველო“ ამ მიმართულებით კვლევას მომავალშიც გააგრძელებენ. ბიძინაშვილი დარწმუნებულია, რომ კიდევ ბევრჯერ გავვოცდებით.

– მარტო ამ კვლევიდანაც კი ჩანს, რომ საშინლად არის გაბერილი შტატები. ქედას გამგეობაში რაიონის მოსახლეობის თითქმის მესამედია დასაქმებული. გასაგებია, ვის მისცემენ ეს ადამიანები არჩევნებში მხარს, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ უაზროდაა გაბერილი შტატები და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ფაქტიურად შიმშილობს. იმის მაგივრად, რომ რაღაც პრობლემები მოაგვარონ, სახელმწიფო უწყებებში შტატებს ზრდიან და თავიანთ ახლობლებს ასაქმებენ, – აცხადებს „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილე.

მისი თქმით, ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლებთან არაერთხელ უსაუბრიათ, მაგრამ ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების აუცილებლობაში ვერ დაარწმუნეს.

– როცა ამ თემაზე ვესაუბრებით ხელისუფლების წარმომადგენლებს, გვეუბნებიან, რომ შტატები გაბერილია და ბიუროკრატიული ხარჯები გაზრდილია. მათ შესამცირებლად კი არაფერს აკეთებენ, რაც ქვეყნის ბიუჯეტს ათეულობით მილიონი უჯდება. ამათ ხელში ეს ქვეყანა კიდევ კარგად არის, – მიიჩნევს ბიძინაშვილი.

მისი თქმით, რეგიონებში კვლევა გრძელდება და ახალ შედეგებს „მედიატორი“ ახლო მომავალში გამოაქვეყნებს.

მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლებაზე პოლიტიკურ ზეწოლას გავაგრძელებთ“

„საარჩევნო კოდექსით, პოლიტიკურ პარტიებს არჩევნების გზით ხელისუფლების დამარცხება გვეკრძალება“

ნათია ხურცილავა

პარტია ახალი მემარჯვენეების თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საარჩევნო სისტემაზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, ოპოზიცია დიდი ხანია, რაც საარჩევნო კოდექსის ცვლილებას ითხოვს. რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებებში საარჩევნო სისტემის ცვლილება აისახება?

– ოპოზიცია საუკუნის დასაწყისიდან ითხოვს საარჩევნო სისტემის ცვლილებას. ყველა ხელისუფლებას ეძვირფასება არსებული საარჩევნო სისტემა, რომელიც ხელისუფლებაში მყოფ ყველა პარტიას აძლევს საშუალებას, პირველი ადგილისთვის შესაფერის მანდატზე გაცილებით უფრო მეტი მანდატი მიიღოს პარლამენტში. ეს პრობლემა ისევ ღიად რჩება.

შერეული სისტემა ერთპალატიან პარლამენტში ნიშნავს იმას, რომ უბრალო უმრავლესობის მქონე პარტია მთლიანად იღებს ყველაფერს. მთელ ამ პროცესში მნიშვნელოვანი არის ის უთანაბრობა და უსამართლობა, რომელზეც ლამის მთელი ცივილიზებული სამყარო გვეუბნება.

ყველა ხელისუფლება და მათ შორის არსებული ხელისუფლებაც ნიშნისმოგებით გვეუბნება, თითქოს ჩვენ ვამბობთ, რომ მაჟორიტარული სისტემა ცუდია და მხოლოდ ჩვენ ვაკრიტიკებთ მას. ასე სულაც არ არის. არავინ ამბობს, რომ მაჟორიტარული სისტემა ცუდია, მაჟორიტარული სისტემა ცუდია ერთპალატიან პარლამენტში. იქ, სადაც მაჟორიტარული სისტემა არსებობს, ყველგან ორპალატიანი პარლამენტია. ერთი პალატა მაჟორიტარულად ირჩევა, მეორე – პროპორციულად. ასევე არსებობს მთელი რიგი კანონები, რომლებიც ორივე პალატამ თუ არ მიიღო მაღალი კვორუმით, მაშინ ისინი, უბრალოდ, ვერ გადის.

დემოკრატიულ მსოფლიოში მხოლოდ ორი ქვეყანა არსებობს, ლიტვა და უნგრეთი, სადაც ერთპალატიანი პარლამენტია და შერეული სისტემა არსებობს, თუმცა ორივეგან დამატებითი რეგულაციები მოქმედებს. უნგრეთის კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ ერთმა პარტიამ არჩევნებზე რამდენი მანდატიც არ უნდა მიიღოს, მას არ აქვს უფლება, 60%-ზე მეტი დეპუტატი ჰყავდეს პარლამენტში, რომ ამ პარტიას არ შეეძლოს ერთპიროვნულად კონსტიტუციის მიღება.

უნგრული კონსტიტუცია პირდაპირ ბლოკავს, რაც არ უნდა მაღალი რეიტინგი ჰქონდეს პარტიას, საკონსტიტუციო უმრავლესობა მიისაკუთროს. ერთი პარტიის მიერ მიღებული კონსტიტუცია თავისთავად სიმახინჯეა ევროპული დემოკრატიისთვის.

– ქართულ რეალობას რომ დავუბრუნდეთ...

– ქართული რეალობა არის ის, რომ მმართველმა პარტიამ უბრალო უმრავლესობაც კი ვერ მიიღო, მაგრამ 28% მოპარული მანდატების წყალობით მიიღო 115 მანდატი პარლამენტში ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა. ამის შეცვლას ვითხოვთ აგერ უკვე მესამე თუ მეოთხე ხელისუფლებისგან, რაზეც ჯერჯერობით დუმილს ვიღებთ პასუხად, თუმცა თითქოს შემხვედრი ნაბიჯი გადმოდგა ხელისუფლებამ.

– რამდენად მისაღებია ხელისუფლების ინიციატივა, რომ გადაუნაწილებელი მანდატები პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ მიიღოს?

– ეს არის ახალი ბოროტება. „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ ერთიანი პროპორციული არჩევნები იყოს ანუ 150-ვე დეპუტატი პროპორციული წესით ავირჩიოთ, მაგრამ საარჩევნო ბარიერის შემცირების გარეშე, ანუ 5%-იანი ბარიერით ის მანდატები, რომლებიც ვერ გადანაწილდება, ეს პირდაპირ წაიღოს მოგებულმა პარტიამ. ხელისუფლება გვეუბნება, გაუნაწილებელი მანდატები პროპორციულად კი არ განაწილდეს ბარიერგადალახულ პარტიებს შორის, არამედ მოგებულმა პარტიამ წაიღოს. ამით, იცით, რა გამოდის? მაგალითად, 2016 წლის არჩევნების შედეგებით რომ ვიმსჯელოთ, მმართველი პარტია აღებული 48% 150-მანდატიან პარლამენტში 72 მანდატს მიიღებდა, შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობა – რაღაც რაოდენობას, პატრიოტთა ალიანსიც ასევე. ამომრჩეველთა ხმების 21% 2016 წელის არჩევნებზე დაიკარგა, რადგან ჯამურად ეს 21% მოგროვდა იმ პარტიებისგან, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. 150 მანდატის 21% არის დაახლოებით 31 მანდატი. ამით „ქართული ოცნება“ გვეუბნება, 72% მეკუთვნის, მაგრამ დარჩენილი 31 მანდატიც ჩემია, რადგან პირველ ადგილზე გავედიო.

72 მანდატს 31 მანდატს თუ დავუმატებთ, 103 მანდატი გამოდის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ქართულ ოცნებას“ სურს საკონ-

სტიტუციო უმრავლესობის ჩამოწევა სამი მეოთხედის ნაცვლად ორი მესამედამდე, არ არის გამორიცხული, ამ სქემით საკონსტიტუციო უმრავლესობაც კი მიიღოს. ეს კი ნიშნავს, რომ დაბალი რეიტინგის მქონე პარტიას შეეძლება ხელისუფლებაში მაღალი ძალაუფლებით დარჩენა. ეს, რა თქმა უნდა, სიმახინჯეა.

– გამოდის, ოპოზიცია ამ შეთავაზებას არ იღებს?

– კვალიფიციური ოპოზიციური პარტიების საკოორდინაციო საბჭოა შექმნილი, რომელიც სწორედ საარჩევნო საკითხებზე მუშაობს.

– ბატონო მამუკა, რას აპირებთ? თუ გაქვთ თქვენი შეთავაზება?

– ჩვენ მომავალ კვირას გვაქვს პრეზენტაცია, სადაც დავდებთ ჩვენს წინადადებებს სამივე სისტემის მიმართულებით. ერთი, ეს არის საპარლამენტო სისტემა, სადაც საუბარი გვექნება მხოლოდ პროპორციულ სისტემაზე, მანდატების პროპორციული წესით გადანაწილებაზე.

– გადაუნაწილებელი მანდატები?

– მათ შორის ამ საკითხზეც გვექნება ჩვენი წინადადება. ასევე გვექნება საარჩევნო ბარიერის დაწევაზე შეთავაზება, იმაზეც, თუ რატომ უნდა აირჩიოს ხალხმა პირდაპირი გზით პრეზიდენტი და რატომ არ უნდა წაერთვას ეს უფლება. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემაც იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც არის საპარლამენტო საარჩევნო სისტემა.

– საკონსტიტუციო კომისიაში ასევე გახმოვანდა იდეა, რომ პარტიებს შესაძლებელია არ მიეცეთ საარჩევნო ბლოკების შექმნის უფლება. როგორია თქვენი პოზიცია?

– ეს არის კიდევ ერთი უბედურება „ქართული ოცნების“ წინადადებათა ნუსხიდან. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოთხჯერ შეიცვალა ხელისუფლება. ოთხივე ხელისუფლება საარჩევნო ბლოკებმა შეცვალეს. მოქმედ ხელისუფლებას ვერაფერს მოუხერხებ კონსოლიდირებული ძალისხმევის გარეშე. ეს არის ნათელი მაგალითი 27-წლიანი ქართული პოლიტიკის რეალობიდან. ამ იდეით „ოცნება“ გვეუბნება: მე მუდმივად უნდა დავრჩე ხელისუფლებაში. თქვენ აღარ მოგცემთ საარჩევნო ბლოკის ჩამოყალიბების საშუალებას, ხოლო ცალკეული პარტიები ვერაფერსაც ვერ დამაკლებთ. ეს ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ არჩევნების გზით ხელისუფლების დამარცხება. ეს პირდაპირ არის ბიძგი სხვა ტიპის მოქმედებების განვითარებისკენ.

– რა ტიპის?

– ე.წ. ქუჩური პოლიტიკის განვითარების ქვეყანაში, რაც ძალიან არასასურველია ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისთვის, პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმების გამოყენებას ვაპირებთ ქვეყნის გარედან თუ ქვეყნის შიგნიდან. ყველა ის დათმობა, რომელიც აქამდე მოხდა, ასეთი ზეწოლების შედეგია.

– რა ტიპის ზეწოლას აპირებთ ხელისუფლებაზე?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ზეწოლას ვაპირებთ, მაგრამ, თუ თქვენ მეკითხებით, ვაპირებთ თუ არა რუსთაველის გადაკეტვას, კვლავ კარვების დადგმასა და შიმშილობების გამოცხადებას, ან ვიღაცამ თავი რომ დაიწვას, არა, ამას არ ვაპირებთ. იმედია, ასეთი მოძველებული და მწვავე ფორმების გამოყენება აღარ დაგვჭირდება. სხვა ტიპის, უფრო ცივილიზებული ფორმებით ვაპირებთ ბრძოლას, რადგან არ გვაქვს მოლოდინი, რომ თავისთავად მოხდება ეს ცვლილებები. თავისთავად აქამდეც არაფერი მომხდარა.

პუტინმა თიბილოვს მხარდაჭერა გამოუცხადა

კოკოითიმ ოსებს გაღვიძებისკენ მოუწოდა

შორენა მარსაგიშვილი

9 აპრილს ცხინვალში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. დგილობრივი და ხუსი ექსპერტების განცხადებით, არჩევნებს ის კანდიდატი მოიგებს, რომელსაც ხუსეთი დაუჭერს მხარს. ასეთი მხარდაჭერა მოქმედმა პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა მოიპოვა. მას ხუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არჩევნებში გამარჯვება პირადად უსურვა.

ვლადიმერ პუტინისა და თიბილოვის შეხვედრა გუშინ, 21 მარტს გაიმართა. ოსური მედიის ცნობით, რუსთა ლიდერმა ხაზი გაუსვა იმ

ფაქტს, რომ მოსკოვი და ცხინვალი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. პუტინი განსაკუთრებით იმით არის კმაყოფილი, რომ ცხინვალის რეგიონში ვითარება დასტაბილურდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სტაბილიზაცია თიბილოვის სახელს უკავშირდება.

რუსეთის ლიდერი იმედოვნებს, რომ ცხინვალის რეგიონში სიმშვიდე არც არჩევნების დროს დაირღვევა.

– გისურვებთ წარმატებებს. ვიმედოვნებ, ყველაფერი კანონის დაცვით ჩატარდება, – მიმართა რუსეთის პრეზიდენტმა თიბილოვს.

მხარდაჭერით კმაყოფილმა თიბილოვმა პუტინს მრავალგზის უკმია გუნდრუკი. სამხრეთელ ოსთა ლიდერმა რესპუბლიკაში სიმშვიდის დამყარება მოსკოვის დამსახურებად მიიჩნია.

– რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის წყალობით, რესპუბლიკაში ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის, – მოწიწებით შეჰკადრა თიბილოვმა მამა-მარჩენალს.

ვნახოთ, როგორ დაეხმარება პუტინის ღია მხარდაჭერა თიბილოვს არჩევნების მოგებაში. წლების წინ მან ასევე ღიად დაუჭირა მხარი რაულ ხაჯიმბას, მაგრამ აფხაზებმა მისი არჩევა არ ისურვეს. საინტერესოა, წავლენ თუ არა ოსები მამა-მარჩენალის ნების წინააღმდეგ.

პუტინთან შეხვედრით ნასიამოვნებ თიბილოვს ცხინვალში ცხელი ამბები ელოდება. მას ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ელოდება, რომლის დაოკებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. მართალია, თიბილოვის დაბრუნებამდე ქუჩაში აღარ თარეშობს, სამაგიეროდ, კომპიუტერთან გამაგრდა და სოციალური ქსელით დაიწყო განცხადებების გაკეთება.

მან მიმართვის ისეთი ტექსტი დაწერა, ცხონებული კოსტა ხეთაგუროვი მონაგონია, ამტკიცებს, რომ ცხინვალის სახელმწიფოებრიობა საფრთხის ქვეშ დგას. გამწარებული კოკოითი ოსებს გაღვიძებისკენ მოუწოდებს.

– სულ უფრო ახლოს არის საათი, როცა ჩვენი ხალხი უახლესი 5 წლით განვითარების ვექტორს აირჩევს. მესმის, რომ ხალხი გაყოფილია. ყველა რაღაცით მოტივირებს საკუთარ პოზიციას, მაგრამ არა – პატრიოტულ აზრებით. ზოგიერთი თავის პირად ინტერესს აყენებს წინ, ჩვენი ხალხის ინტერესების წინ, საითკენ მივდივართ? ხელისუფლების მაღალი ეშელონები მზად არიან, ჩვენი სახელმწიფოებრიობა საკუთარი პოლიტიკური კარიერის ხარჯზე გაყიდონ.

ის პერსონაჟები, რომლებიც ახლა რესპუბლიკას მართავენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ გამაჩერონ. მესმის, შეიძლება, ჩემ მიმართ სიმპათიები არ გაქვთ, მაგრამ ერთ რამეზე თავს დავდებ: ეს ადამიანი ერთადერთია საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის, რომელსაც სამშობლოსადმი სიყვარული ამოძრავებს. ის იდგა, დგას და იდგება ოსეთის ინტერესების მხარეს უკანასკნელ დღემდე. ყველას მხოლოდ ერთისკენ მოგიწოდებთ: გაიღვიძეთ, ოსებო!

ჩვენ, ყველანი დიდი ალანიის შვილები ვართ. დავდგეთ გვერდიგვერდ და ჩვენი არჩევანი გავაკეთოთ 9 აპრილს. ვერავინ გვიკარნახებს, ვინ ავირჩიოთ და ვინ – არა. ჩვენთან არს ღმერთი და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ჩვენ წინააღმდეგ, – ვკითხულობთ მის მიმართვაში.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რატომ ამჯობინებენ ბრენდული სასტუმროები იმპორტირებული პროდუქციის შეძენას?

აგრარული სექტორის განვითარება საქართველოში წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის გარეშე წარმოუდგენელია. გასულ კვირას სოფლის მეურნეობის სამინისტროში საინტერესო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც სასტუმროების ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ბრენდული სასტუმროების უმრავლესობა იმპორტირებულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას. მინისტრის შეფასებით, ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი კომუნიკაციის ნაკლებობაა.

ბრენდულ სასტუმროებში კი რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, რის გამოც ისინი იმპორტირებული პროდუქციის შეძენას ამჯობინებენ. ეს მიზეზებია: ქართული ნაწარმის შედარებით მაღალი ფასი, არასტაბილური მიწოდება, დაბალი ხარისხი და ა.შ...

„საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ ჩვენს ფერმერებს პროდუქციის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა უჭირთ.

– პირველ რიგში, ჩვენს აგრარულ სექტორს უწყვეტი ციკლის შენარჩუნება არ შეუძლია – ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ბრენდული სასტუმროები უცხოურ პროდუქციას ამჯობინებენ. მეორე: იმ სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია, რაც საერთაშორისო დონის სასტუმროს სჭირდება, ჩვენთან მცირე რაოდენობით იწარმოება. აქ, რა თქმა უნდა, ვიზუალური მხარეც იგულისხმება.

შეფუთვა და ვიზუალი თანამედროვე ბიზნესში დიდ როლს ასრულებს, თუმცა უმთავრეს ხელისშემშლელ მიზეზად მაინც არასტაბილური მიწოდება რჩება, რაც იმის ბრალია, რომ ფერმერებს არა აქვთ მაცივრები და პროდუქციის მიწოდებას მხოლოდ ერთ სეზონზე ახერხებენ.

რეგულარული მიწოდება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ფერმერს შეუძლია შეინახოს თავისი ნაშრომი, ის არ უნდა ცდილობდეს პროდუქცია ერთ სეზონზე მოიშოროს თავიდან.

ქართული პროდუქციის მაღალი ფასი კი იმით არის გამოწვეული, რომ მიწები დანაწევრებულია, ჰექტრული მოსავლიანობაც ნაკლებია და მასობრივი წარმოება ვერ ხერხდება.

ფერმერებს შორის პროფესიული ცოდნის ნაკლებობაც აშკარად იგრძნობა, ტექნოლოგიური ციკლის უცოდინარობა და თანამედროვე ტექნოლოგიების არქონა დაბალი ხარისხის მთავარი მიზეზია, – აღნიშნავს ნინო ზამბახიძე.

ამ საკითხის შეფასება ვთხოვეთ ოზურგეთის რაიონის მთავარ სპეციალისტს სოფლის მეურნეობის საკითხებში აკაკი ღლონტს.

– საქართველოში აგრარულ სექტორს ძირითადად წვრილი ფერმერული მეურნეობები ქმნის. ეს მეურნეობები აწარმოებენ პროდუქციას პირადი მოხმარებისთვის და მხოლოდ მორჩენილი პროდუქცია გააქვთ ბაზარზე. ეს იმდენად მცირე რაოდენობაა, რომ ჩვენი ფერმერები სტაბილურ მიწოდებას ქართულ ბაზარზეც ვერ უზრუნველყოფენ, რომ არაფერი ვთქვათ ბრენდულ სასტუმროებსა და რესტორნებზე. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი კოოპერირება და წვრილი ფერმერების გაერთიანება. აუცილებელია ქართული ნაწარმის რეკლამირებაც.

პრესამ და ტელევიზიამ ქართული პროდუქციის ღირსება უნდა დაანახონ ხალხს, რომელიც იმპორტირებულს ვიზუალურად ვერ შეედრება, მაგრამ ეკოლოგიურად გაცილებით სუფთა და ჯანსაღია.

მე ვერავის დავეთანხმები, რომ ქართული პროდუქცია ნაკლები ხარისხისაა. შეიძლება პოლონური, ან ირანული ვაშლი ერთი შეხედვით უფრო მსხვილი და ლამაზი იყოს, მაგრამ ლაბორატორიაში თუ გავსინჯავთ, ქართული ვაშლი ნაკლებ შხამქიმიკატებს შეიცავს და გაცილებით ჯანსაღი და უვნებელია. იგივე ითქმის სხვა სახის პროდუქტზეც, – აღნიშნა აკაკი ღლონტმა.

რატომ ამჯობინებენ ბრენდული სასტუმროები იმპორტირებულ პროდუქციას? – ამ შეკითხვაზე სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელ შალვა ალავერდაშვილს სულ სხვა პასუხი აქვს.

– ამის უპირველესი მიზეზია ის, რომ ნებისმიერი ბრენდული სასტუმრო ერთნაირი ხარისხის და წარმოების პროდუქციას სთავაზობს თავის კლიენტებს ლონდონში, სიდნეიში, თბილისსა თუ მსოფლიოს სხვა ქალაქებში. ეს ხდება სათავო ოფისის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, რომლის პირობების დარღვევა არ შეიძლება, თუმცა ნებისმიერ ცნობილ სასტუმროში არის კუთხე, სადაც ადგილობრივი პროდუქციის ყიდვაც შეიძლება.

ყოველდღიური მოხმარებისთვის კი, ცნობილმა სასტუმროებმა ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქცია უნდა გამოიყენონ. ეს არის წლების განმავლობაში გამოცდილი პროდუქცია, რომელიც მაღალი ხარისხისაა.

ყველა ბრენდულმა სასტუმრომ იცის, რომ მისი მონოდება არ შეფერხდება, რადგან ამ საქმეს საიმედო კომპანიები უძღვებიან. რატომ ვერ ხერხდება მსგავსი სისტემის აწყობა საქართველოში? – იმიტომ, რომ დისტრიბუციის ქსელი აქ ძალიან ცუდად არის განვითარებული.

დისტრიბუცია – ეს არის შუამავალი რგოლი მწარმოებელსა და სასტუმროს შორის. აუცილებელია სასათბურე და სამაცივრე სისტემის განვითარებაც, რომ პროდუქციის მიწოდება მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მოხერხდეს. მაგალითად: შემოდგომაზე დაკრეფილ ყურძენს მარტსა და აპრილშიც იგივე თვისებები უნდა შეუნარჩუნდეს, რაც ადრე ჰქონდა.

თუ შეიქმნება გამართული სადისტრიბუციო ქსელი მთელი საქართველოს მასშტაბით, თუ გვექნება კარგი სამაცივრე მეურნეობები, რომ აგრარულმა სექტორმა სასტუმროები მთელი წლის განმავლობაში ერთი და იმავე პროდუქციით მოამარაგოს, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

ფერმერი თავისი ნაწარმის რეალიზაციაზე არ უნდა ფიქრობდეს – ის კარგ, ხარისხიან პროდუქციას უნდა აწარმოებდეს, რომლის გაყიდვაზე შუამავალი რგოლი უნდა ზრუნავდეს. სწორედ ასეთი სისტემა აქვთ უცხოეთში და მათი გამოცდილება ჩვენც უნდა გამოვიყენოთ, – აცხადებს შალვა ალავერდაშვილი.

ბიბიენი

„ევროპაში მოგზაურობაზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად, ავიაბილეთების ფასებიც იზრდება“

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედებამდე 7 დღეა დარჩენილი, თუმცა, ტურისტული კომპანიების განცხადებით, ევროპაში მოგზაურობის მსურველთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის უკვე საკმაოდ გაძვირებულია ავიაბილეთების ფასიც. როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ტურისტულმა კომპანიებმა განაცხადეს, ფასის მატების ერთ-ერთი ფაქტორი, შესაძლოა, ვიზალიბერალიზაციაც იყოს.

კომპანია Good Travel-ის ცნობით, ევროპის ქვეყნებში გადაადგილებაზე მოთხოვნა უკვე გაიზარდა და უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან კიდევ უფრო ზრდას ელიან.

– ჩვენ კომპანიაში ფასები არ შეცვლილა, მაგრამ ავიაბილეთები ნამდვილად ძვირდება. „ვიზეარის“ საიტს რომ დააკვირდეთ, ფასები ყოველდღიურად იცვლება. რადგან ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილება მარტივდება და კომპანიებიც ზრდიან ავიაბილეთის ფასებს. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, 11 აპრილს გვაქვს ტური პოლონეთში. 1 დღეს ბილეთები 271 ლარად შევიძინეთ, მეორე დღეს კი 297 ლარის გადახდა მომიწია, – აღნიშნავს კომპანიის ოპერატორი მარიამ ტყებუჩავა.

ავიაბილეთების გაზრდილ ფასებზე საუბრობს „ბიზნესპრესნიუსთან“ ტურისტული კომპანია Go Travel-ის დირექტორი ნინო წიკლაურიც. როგორც ის ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, ფასების მატება, შესაძლოა, ერთი მხრივ, ზაფხულის მოახლოებით, მეორე მხრივ კი ვიზალიბერალიზაციით იყოს გამოწვეული.

– მომხმარებლებს იმ ფასებში ვემსახურებით, რისი საშუალებაც გვაქვს. ძირითადად, ბილეთების ფასზე ვართ დამოკიდებული. ამ ეტაპისთვის კი ავიაბილეთების ფასები უკვე საკმაოდ გაზრდილია. ეს მხოლოდ ვიზალიბერალიზაციით არ არის განპირობებული, ფასები სეზონურად ყოველთვის იწევს ხოლმე, მაგრამ ახლა ერთ-ერთ ფაქტორს გადაადგილების გამარტივებაც წარმოადგენს, – ამბობს წიკლაური.

მისივე თქმით, უკვე გაზრდილია მოთხოვნა ევროპის ქვეყნებში მგზავრობაზე და ზაფხულის ტურების დიდი ნაწილიც უკვე დაჯავშნილია.

– ევროპის მიმართულებით გადაადგილებაზე იმ ადამიანებისგანაც წამოვიდა მოთხოვნა, ვისაც ვიზის ფაქტორის გამო ეზარებოდა და დუბაის ან იმ ქვეყნებს ანიჭებდა უპირატესობას, სადაც მარტივი იყო გადაადგილება, – ამბობს კომპანიის დირექტორი.

როგორც წიკლაური აღნიშნავს, არ ელიან, რომ გაზრდილი ფასები მოთხოვნას შეამცირებს.

– ახლა ვიწყებთ დაკვირვებას. ხალხიც უფრო მოლოდინის რეჟიმშია – როგორ და რამდენად მარტივად შევლენ საზღვარზე. თუმცა, ვფიქრობთ, ფასების ზრდის მიუხედავად, მოთხოვნა მაინც იქნება, – ცხადებს წიკლაური.

ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის 28 მარტიდან შევა ძალაში. შედეგად, ყველა მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბიომეტრიული პასპორტი და ევროკავშირისკენ მოკლევადიანი ვიზიტით მიემართება, ამ ვიზიტის განხორციელება უვიზოდ შეეძლება. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ გადაადგილებას ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში შეძლებენ.

ბიბიენი

კომერციული ბანკების წმინდა მოგება ერთ წელიწადში 4-ჯერ გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, იანვარ-თებერვალში კომერციული ბანკების მოგებამ 142,650 მლნ ლარი შეადგინა, რაც 83,837 მილიონი ლარით, 142,5%-ით მეტია იანვრის მონაცემთან შედარებით.

იანვარში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 58, 813 მილიონი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ბანკების შემოსავლებმა 557,781 მილიონი ლარი შეადგინა, ხარჯებმა კი 399,267 მილიონი ლარი.

რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, 2016 წლის იანვარ-თებერვალში კომერციული ბანკების მოგება იყო 36,211 მილიონი ლარი, რაც თითქმის 4-ჯერ ნაკლებია 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, ამავე პერიოდში ბანკების ხარჯებმა 399.267 ლარი, შემოსავლებმა კი 557.781 ლარი შეადგინა.

კომერსანტი

კობა გვენეტაძე: „კრედიტი მსესხებელთა 23%-მა გაალარა“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის შეფასებით, სესხების გალარების პროგრამა ძალიან კარგი პროგრამა იყო.

როგორც კობა გვენეტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მომხმარებლებს, რომელთაც სურდათ, სავალუტო რისკებისგან დაეზღვიათ თავი, ძალიან კარგი შანსი ჰქონდათ, ეს გაეკეთებინათ.

– ბოლო ინფორმაციით, გალარებულია 75 მილიონი დოლარის სესხები. დროთა განმავლობაში ზუსტდებოდა სესხების ის სია, რომელიც ექვემდებარებოდა გალარებას, დღესდღეობით გალარებულია დაახლოებით 23%, ეს იყო ნებაყოფლობითი პროცესი, ერთჯერადი პროგრამა, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა. ვფიქრობ, ეს იყო კარგი პროგრამა და მომხმარებლებს, რომელთაც სურდათ, რომ სავალუტო რისკებისგან დაეზღვიათ თავი, ძალიან კარგი შანსი ჰქონდათ ეს გაეკეთებინათ, – განაცხადა გვენეტაძემ.

რაც შეეხება ზოგადად ლარიზაციას, გვენეტაძემ განმარტა, რომ ეს არ არის მოკლევადიანი პროექტი.

– ეს არის გრძელვადიანი პროექტი, ბევრ ქვეყანაში ამას 10-15 და უფრო მეტი წელი დასჭირდა, ეს საკითხები და ღონისძიებები განხილული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაამთავრა საქართველოში მუშაობა. ის პუნქტები, რაც არის ჩამოთვლილი, ჩვენ მივყვებით მათ განხორციელებას, – განაცხადა გვენეტაძემ.

კომერსანტი

ბრაზილიური ხორცის სკანდალი გრძელდება – ქვეყანაში ხორცის გადამამუშავებელი 3 ქარხანა დახურეს

ბრაზილიის ხელისუფლებამ ვადაგასული ხორცით ვაჭრობის მასშტაბური სქემა გაშიფრა. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ბრაზილიაში 30-ზე მეტი მაღალჩინოსანი გადააყენეს და ხორცის გადამამუშავებელი სამი ქარხანა დახურეს, კიდევ 20 საწარმო კი შემოწმებას გადის.

გამოძიების ინფორმაციით, ორი მსხვილი კომპანიის – JBS-სა და BRF-ის მენეჯერები სანიტარიულ ინსპექტორებს ქრთამს აძლევდნენ და პროდუქციაზე ყალბ სერტიფიკატებს იღებდნენ. ბრაზილიის ფედერალურმა პოლიციამ განაცხადა, რომ ხორცთან დაკავშირებული მაქინაციების 40-მდე ფაქტი აქვთ დაფიქსირებული. ირკვევა, რომ მწარმოებლები იყენებდნენ ქიმიკატებს, რათა ხორცის უხარისხობა დაემალათ.

JBS-სა და BRF-ში გამოძიების წარმოების შესახებ ინფორმაციას ადასტურებენ, თუმცა მაქინაციებში მონაწილეობას უარყოფენ.

ამერიკაში, ჩინეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში ხორცის ექსპორტიდან ბრაზილიას წელიწადში 12 მილიარდი დოლარის მოგება აქვს. სწორედ ამიტომ, ბრაზილიური ხორცის სკანდალს გამოეხმაურა ქვეყნის პრეზიდენტი მიშელ ტიმერი, რომელმაც ქვეყანაში მყოფი უცხო ქვეყნების ელჩები სტეიკ ჰაუსში მიიწვია ვახშამზე.

პრეზიდენტმა ამით აღნიშნა, რომ ბრაზილიის მიერ წარმოებული ხორცი ხარისხიანია და დარღვევები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უკვე შეაჩერა ბრაზილიიდან ხორცის მიღება.

ბრაზილიაში წარმოებული ხორცით მსოფლიოს მრავალი ქვეყანასთან ერთად მარაგდება საქართველოც. როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში განაცხადეს, 2016 წელს ბრაზილიიდან 4,623.4 ტონა, 4,448.4 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ხორცი შემოვიდა (მათ შორის, ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გაყინული – 337.2 ტონა, ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული – 4,286.2 ტონა), ხოლო, 2017 წელს (იანვარ-თებერვალში) – 545.8 ტონა, 413.6 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ხორცი (მათ შორის, ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გაყინული – 49.2 ტონა, ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული – 496.6 ტონა).

კომერსანტი

ირაკლი შოთაძე: „კვლავ დაუდგენელია, ვისგან შეიძინა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ციანიდი“

– ამ ეტაპზე კვლავ დაუდგენელია, თუ ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ციანიდი.

ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა ე.წ. ციანიდის საქმის გამოძიების მიმდინარეობაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

– მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო საპროცესო მოქმედებები, რათა დადგინდეს, კონკრეტულად ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა ბრალდებულმა შხამიანი ნივთიერება.

რისი გასაჯაროებაც შესაძლებელი იყო, საქართველოს პროკურატურამ ამ მასალების გავრცელება მოახდინა. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ ის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც ამ საქმეზე არსებობს, დაგვეკმაყოფილებინა, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

ნიკა გვარამიას ცემაში ბრალდებულ რატი გაჩეჩილაძეს 3.100-ლარიანი ჯარიმა შეეფარდა

ნიკა გვარამიას ცემაში ბრალდებულ რატი გაჩეჩილაძეს 3.100-ლარიანი ჯარიმა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ გაჩეჩილაძე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ცემაში დამნაშავედ ცნო და მას სასჯელის სახით ჯარიმა დააკისრა.

მოსამართლემ სასჯელის გამოყენებისას იმ გარემოებებით იხელმძღვანელა, რომ რატი გაჩეჩილაძე დანაშაულს აღიარებს და წარსულში ნასამართლევი არ არის. გაჩეჩილაძეს შეფარდებული ჯარიმიდან 100 ლარი პატიმრობაში გატარებული პერიოდის სანაცვლოდ ჩამოაკლდა და საბოლოოდ მას 3 ათას ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას ფიზიკურად 7 იანვარს თბილისის ერთ-ერთ რესტორანში გაუსწორდნენ. ინციდენტიდან რამდენიმე საათში რატი გაჩეჩილაძემ ნიკა გვარამიას ცემის ფაქტი აღიარა და პოლიციას ჩაბარდა. მას აღკვეთის ღონისძიების სახით 5 ათას ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული.

„ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ეჭვები კიდევ უფრო გაგვიღრმავდა“

რა თარიღები შეცვალა უზენაესმა სასამართლომ

რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესთან დაკავშირებით ტელეკომპანიის ადვოკატებს კითხვები აქვთ.

მათი თქმით, იმის გამო, რომ საზოგადოებისთვისაც და სტრასბურის სასამართლოსთვისაც ეჩვენებინათ, რომ გადაწყვეტილების მიღება 3 დღის განმავლობაში კი არა, რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ მოხდა, უზენაესმა სასამართლომ დოკუმენტაციას თარიღები შეუცვალა. ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მიერ რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის დაკომპლექტების თარიღი შეიცვალა და ცვლილება უკანა რიცხვით შევიდა.

– მოსამართლეები უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლას შეეცადნენ იმ განცხადებით, რომ თითქოსდა ისინი მუშაობდნენ უკვე რამდენიმე თვე და არა 3 დღე.

სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ძველი თარიღით დოკუმენტის ჩადება საქმის მასალებში და გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან გარკვეულწილად კიდევ უფრო გაგვიღრმავდა ეჭვები ამ დოკუმენტის თარიღთან დაკავშირებით, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

6 მარტს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, სადაც წერია, რომ უზენაესმა სასამართლომ 1 დეკემბერს დაკომპლექტა დიდი პალატის 9-კაციანი შემადგენლობა, თუმცა რუსთავი 2-სთვის მათი ვინაობა 3 თვის განმავლობაში უცნობი იყო.

სასამართლომ ბათუმის მოვლენებში ბრალდებულ კახაბერ ელიაშვილს 250-ლარიანი ჯარიმა დააკისრა

11-12 მარტის ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში სხდომა გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბათუმიდან იუწყება, ბრალდებულ კახაბერ ელიაშვილს სამართალდამცავები სიტყვიერ შეურაცხყოფასა და წინააღმდეგობის გაწევაში ადანაშაულებდნენ. კახაბერ ელიაშვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა.

მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა) მუხლების საფუძველზე კახაბერ ელიაშვილს 250-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

ამასთან, ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში ბრალდებული როინ ზაქარიაძე არ გამოცხადდა, რის გამოც მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ სასამართლო სხდომა გადადო.

შსს: „ბერა ივანიშვილის გამო 9 თანამშრომელი არ გაგვითავისუფლებია“

შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ბერა ივანიშვილთან დაკავშირებული ინციდენტის გამო უწყების 9 თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოდან თანამშრომლები არ გაუთავისუფლებიათ.

– გვსურს, გამოვეხმაუროთ ზოგიერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ბერა ივანიშვილთან დაკავშირებული ინციდენტის გამო შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოდან დათხოვნილი იქნა 9 თანამშრომელი.

აღნიშნული ინფორმაცია სრული სიცრუეა. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არცერთ სამმართველოში ბერა ივანიშვილთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია და არ ფიქსირდება არცერთი ფაქტი, რომელსაც აღნიშნულ პირთან რაიმე სახით შემხებლობა ექნებოდა.

ამასთან, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოდან დათხოვნილ იქნა 9 თანამშრომელი.

აქვე განვმარტავთ, რომ პოლიციის დეპარტამენტებსა და სამმართველოებში, ოპერატიული საქმიანობის სპეციფიკიდან და სხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საკადრო გადაადგილებები პერიოდულად ხორციელდება.

ამასთან, შევნიშნავთ, რომ არცერთ პირს, ვინც თითქოსდა მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით კომენტარს აკეთებს, არანაირი შეხება არ აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მსგავსი განცხადებები მხოლოდ შსს-ს დისკრედიტაციასა და კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

უწყებაში ასევე განმარტავენ, რომ ინფორმაციის გავრცელება შინაგან საქმეთა სამინისტროში გადამოწმების გარეშე მოხდა.

„ნაზღაიძისთვის ქონების გადაცემა, შესაძლოა, დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს“

ოპოზიცია პროკურატურისგან ნაზღაიძის საქმესთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას ითხოვს.

– წარმოადგენს დედაქალაქის მერიის აუდიტის სამსახური დასკვნას და ჩვენ ამ დასკვნის საფუძველზე მივმართავთ უკვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ვაპირებთ, ყველა სახელმწიფო ინსტანციაში, ყველა სამსახურს მივმართოთ, რომ აღნიშნული ფაქტი არ დარჩეს გამოუკვლეველი და დაუსჯელი.

ცინიკურია, როდესაც ბატონი სამუშია საიას წარმომადგენლების კვლევას აფასებს, როგორც არასრულს.

ჩვენ აბსოლუტურად ვენდობით ამ დასკვნას და ვფიქრობთ, რომ უკვე შემდეგი ნაბიჯი უნდა გადადგას პროკურატურამ, – განაცხადა საკრებულოში ფრაქცია თბილისის წევრმა თამაზ შოშიაშვილმა.

საიას კვლევას ენდობა ნაციონალური მოძრაობაც.

– მათ ჰქონდათ ერთადერთი არგუმენტი საპირისპიროდ, რომ თითქოსდა მისი მფლობელი რეალურად იყო ბატონი ნაზღაიძე, თუმცა ეს არის ტყუილი და მეორე, თითქოს არსებობდა რაღაც მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ქონება ძვირდებოდა. ესეც არის დიდი სიცრუე, – აცხადებს საკრებულოში ფრაქცია ენმ-ის თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე.

რუსთავში საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულზე ხანძარი გაჩნდა

არსებული ინფორმაციით, ხანძარი სადარბაზოში არსებულ ე.წ. საშრობში დამონტაჟებულ ცენტრალური გათბობის სისტემის ქვაბსა და წყლის გამათბობელს გაუჩნდა. ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია მოკვლევა და ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და სამაშველო სამსახურები, ასევე „სოკარ-ჯორჯია გაზის“ რუსთავის სერვისცენტრის თანამშრომლები.

უსაფრთხოების მიზნით საცხოვრებელ კორპუსს ბუნებრივი აირის მიწოდებაც შეუწყვიტეს.

სპირტიანი სასმელების უაქციზოდ გადაზიდვის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული პროდუქციის – სხვადასხვა დასახელების სპირტიანი სასმელების უაქციზოდ გადაზიდვის ფაქტზე საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავა.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საკუთარი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით, კანონსაწინააღმდეგოდ მოახდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული სპირტიანი სასმელების აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა.

საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო პროდუქცია ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით.

საბურთალოზე ავტომობილის გატაცების მცდელობისთვის ორი პირი დააკავეს

საბურთალოზე ავტომობილის გატაცების მცდელობისთვის სამართალდამცველებმა ორი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ნაპოვნია გატაცებული ავტომობილი. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა საბურთალოზე იარაღის მუქარით მამაკაცს „ბე-ემ-ვეს“ მარკის ავტომობილი წაართვეს და გაიტაცეს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

გფბ ამერიკულ არჩევნებში რუსების ჩარევის ფაქტებს იძიებს

რუსი ჰაკერების ჩარევა აშშ-ის არჩევნებში, ტრამპის ადმინისტრაციის კონტაქტები რუსებთან – ეს თემები აშშ-ში უაღრესად აქტუალურია. მათ ამერიკის კონგრესი, კერძოდ კი, დაზვერვის საკითხთა კომიტეტი სწავლობს. კონგრესში ამასთან დაკავშირებით სპეციალური მოსმენები გაიმართა. ამჯერად ამერიკელი კანონმდებლების წინაშე გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ჯეიმს კომი წარდგა.

გფბ-ს დირექტორმა დაადასტურდა ამერიკულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ გფბ არჩევნებში რუსი ჰაკერების ჩარევის საქმეს იძიებს. კონგრესმენების შეკითხვაზე, როდის დამთავრდება გამოძიება, მან მიუგო, რომ ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან შესასწავლია ზღვა მასალა.

– ყველაფერი უნდა შემოწმდეს, – თქვა კომიმ და დაამატა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო უკვე ჩატარდა.

– შესაბამისად, რაღაც შეკითხვებზე პასუხის გაცემა უკვე შემიძლია, – თქვა გფბ-ს დირექტორმა.

კონგრესმენთა შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ დემოკრატების შტაბიდან საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვას ჰქონდა ადგილი, კომიმ მიუგო, რომ ეს მართალია. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ პირები, რომელთაც ამასთან კავშირი ჰქონდათ, ბოლომდე ჯერ არ არიან დადგენილი.

კომიმ განაცხადა, რომ სანამ ხელთ უდავო დამამტკიცებელი საბუთები არ ექნება, ეჭვმიტანილთა ვინაობას ვერ დაასახელებს.

– ყველა, ვის გამოც საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვას ჰქონდა ადგილი, მხილებული იქნება და დაისჯება, – აცხადებს კომი.

გფბ-ს დირექტორთან ერთად კონგრესმენთა წინაშე ეროვნული უსაფრთხოების ნაციონალური ბიუროს (ანბ) დირექტორი, ადმირალი როჯერსიც წარდგა.

კონგრესმენებს მან განუცხადა, რომ, სავარაუდოდ, რუსი ჰაკერების ჩარევას ადგილი მართლაც ჰქონდა, მაგრამ რამდენად მოახდინა ამან გავლენა არჩევნებზე, დღეს ამის განსაზღვრა შეუძლებელია.

კომიმ თავის მხრივ აღნიშნა, რომ შეუძლებელია ვთქვათ, თუ რა გავლენა იქონია რუსი ჰაკერების ჩარევამ აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე, მაგრამ უდავოა ერთი: რუსებმა თავის მიზანს მიაღწიეს. მათ შეძლეს აშშ-ის საზოგადოებაში ერთგვარი პოლარიზაციის შეტანა. შესაძლებელია, რომ რუსები აშშ-ის შიდა პოლიტიკაში კვლავაც ჩაერიონ.

– რუსებმა განვლილი საპრეზიდენტო არჩევნებიდან სათანადო გაკვეთილები ვერ გამოიტანეს. შესაბამისად, არ გამიკვირდება, თუკი ჩვენს საშინაო საქმეებში კვლავაც შეეცდებიან ჩაერიონ, – ამბობს გფბ-ს დირექტორი.

საუბარი ტრამპის სატელეფონო საუბრების მოსმენებსაც შეეხო.

კომიმ მოსმენის ფაქტი კატეგორიულად უარყო. ამას კონგრესის სადაზვერვო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუნესიც დაეთანხმა.

– „ტრამპ თაუერის“ მოსმენა არ მიმდინარეობდა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ თვალთვალის სხვა ფორმები იყო გამოყენებული, – განაცხადა ნუნესმა.

პოლონეთში რუსი ჯაშუში გაასამართლეს

პოლონეთში რუსი ჯაშუში სტანისლავ შ. გაასამართლეს. მას ბრალად ედებოდა რუსეთის სამხედრო დაზვერვაზე (გრუ) მუშაობა.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ სტანისლავ შ. 2012 წლიდან რუსებს საიდუმლო ინფორმაციებით ამარაგებდა.

სასამართლომ სტანილავ შ-ს 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თავად ბრალდებულმა დანაშაული არ აღიარა. მისმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ განაჩენს გაასაჩივრებენ.

სირიაში ახალი რუსული ბაზა გაჩნდა?

ქურთების წარმომადგენელმა მოსკოვში აბდუჰალამ ალიმ განაცხადა, რომ სირიაში ახალი რუსული ბაზა გაჩნდა. ის ქალაქ ჯანდარისთან (ალეპოს პროვინცია) მდებარეობს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია უარყო.

სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ სირიის ტერიტორიაზე ახალი სამხედრო

ბაზა არ განთავსებულა. თავის მხრივ, სირიის დიქტატორმა ასადმა აღნიშნა, რომ ახალი რუსული ბაზა ხსენებულ რაიონში ჯერჯერობით არ არის განთავსებული, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება.

– ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია, რომელიც სირიის ტერიტორიაზე მისი ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდება, არალეგიტიმურია! მხედველობაში მაქვს აშშ-ის ეგიდით შექმნილი ე.წ. ანტიტერორისტული კოალიცია, რომლის ჭეშმარიტი მიზანი არა ტერორისტებთან, არამედ სირიის კანონიერ ხელისუფლებასთან ბრძოლაა, – ამბობს ასადი.

დიქტატორმა განაცხადა, რომ თუკი აუცილებლობამ მოითხოვა, რუსეთის მხარდაჭერა მისი რეჟიმისადმი გაიზრდება.

– ჯერჯერობით ამის აუცილებლობა არ არსებობს, – ამბობს ასადი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მაკრონი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტელედებატების გამარჯვებული გახდა

პოლიტიკური მოძრაობა წინ-ის ლიდერი ემანუელ მაკრონი პირველი ტელედებატების გამარჯვებული გახდა.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ სატელევიზიო ტელედებატებში პრეზიდენტობის 5 კანდიდატი მონაწილეობდა. ესენი არიან: მარინ ლე პენი, ემანუელ მაკრონი, ფრანსუა ფიონი, ჟან-ლუკ მელანშონი, بენუა ამონი.

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საზოგადოების 29% ფიქრობს, რომ ემანუელ მაკრონი ყველაზე დამაჯერებელი იყო.

მეორე ადგილზე დაუმორჩილებელი საფრანგეთის ლიდერი ჟან-ლუკ მელანშონი გავიდა, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილები მარინ ლე პენმა და ფრანსუა ფიონმა გაიყვეს.

ემანუელ მაკრონი საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი ფავორიტია, თუმცა მას ღირსეული კონკურენტები ჰყავს. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური – 23 აპრილს, ხოლო მეორე ტური 7 მაისს გაიმართება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დონბასი: ჯარების დაშორიშორება ჩაიშალა



რუსმა ოკუპანტებმა ჩაშალეს შეთანხმება ჯარების დაშორიშორების შესახებ და სოფელ ვოდიანოეს გრადები დაუშინეს.

შედეგად დაიღუპა 2 უკრაინელი ჯარისკაცი. საპასუხო ცეცხლის შედეგად მოკლულია 10 რუსი ჯარისკაცი და ბოევიკი-სეპარატისტი.

სეპარატისტები თავის მხრივ ყველაფერში უკრაინელებს ადანაშაულებენ.

„დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინა დონბასის მიზანმიმართულ გენოციდს ახორციელებს.

– ჩვენ რუსეთთან შეერთება გვსურს. თუკი ასე არ მოხდა, უკრაინელები დედიანბუდიანად ამოგვხოცავენ, – აცხადებს სეპარატისტების ლიდერი.

შავ ზღვაზე უკრაინა-ნატოს სწავლებები დაიწყო

შავ ზღვაზე უკრაინა-ნატოს სამხედრო სწავლებები დაიწყო.

მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც უკრაინის, ასევე პოლონეთის, თურქეთის, ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები.

რუსეთი უკრაინა-ნატოს სწავლებებმა აღაშფოთა.

პასუხად რუსეთმა ყირიმში კუნთები აათამაშა და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მასშტაბური სწავლებები მოაწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ფაჩულიას მწირი შედეგიანობა და მორიგი გამარჯვება

გოლდენ სტეიტ უორიორსმა ოკლაჰომაში სანდერსი დაამარცხა და წარმატებული სერია 4 მატჩამდე გაზარდა, თავად ოკლაჰომას კი 5-მატჩიანი მოგებათა სერია შეუწყვიტა. მატჩის ბოლო პერიოდში ყველაფერი გარკვეული იყო და თამაში სათადარიგოებმა ჩაამთავრეს – 111:95 მოიგო.

კევინ დურანტი, ოკლაჰომა სიტის ყოფილი ვარსკვლავი, რომელიც სეზონის წინ გოლდენ სტეიტში გადავიდა, დარბაზში კი იყო, მაგრამ ტრავმის გამო თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მეომრებმა მის გარეშეც ისე კარგად ითამაშეს, რომ დახმარება არ დასჭირვებიათ.

მატჩი ნერვული გამოდგა, ხშირი იყო კონფლიქტები კალათბურთელთა შორის, რის გამოც მსაჯებს ტექნიკური ჯარიმების მიცემა მოუხდათ სტეფ კარისთვის, დრეიმონდ გრინისთვის, სემაი კრისტონისა და რასელ ვესტბრუკისთვის.

ზაზა ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 14 წუთში 2 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო. იშტაზე ვერ იყო მისი ოკლაჰომელი ოპონენტი სტივ ადამსიც, რომელიც 22 წუთში 9 ქულას და 1 მოხსნას დასჯერდა.

გოლდენ სტეიტს 56 გამარჯვების წილ 14 მარცხი მოუგროვდა და ლიგას ლიდერობს. მდევარ სან ანტონიოს 2 მარცხით მეტი და 3 გამარჯვებით ნაკლები აქვს. მომდევნო მატჩი ოკლენდელებს ფაჩულიას ყოფილ გუნდ მავერიკსთან დალასში ელით.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს ისლანდიასთან ითამაშებს

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ისლანდიელ თანატოლებთან პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს. კიდევ ერთი თამაში 25 მარტს არის დაგეგმილი.

ამ ამხანაგური მატჩებისთვის მზადება გია გეგუჩაძის გუნდმა ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ დაიწყო. თავდაპირველად ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ისლანდიელებთან სათამაშოდ 24 ფეხბურთელი გამოიძახა, თუმცა ეროვნული ლიგის მესამე ტურის შემდეგ შემადგენლობაში კორექტივების შეტანა მოუხდა – ტრავმების გამო 21-წლამდელებს მცველები, საბურთალოელი ცოტნე ნადარაია და ლოკომოტიველი ირაკლი კომახიძე გამოაკლდნენ. მათ ნაცვლად გია გეგუჩაძემ შეკრებაზე თბილისის დინამოელი დავით კობოური და მარტვილის მერანის მცველი ანდრო გიორგაძე მიიწვია.

დღევანდელი მატჩისთვის გეგუჩაძე ასეთი შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები: ლაზარე კუპატაძე (საბურთალო), ბექა ქურდაძე (ლოკომოტივი), ლუკა გუგეშაშვილი (იაგელონია, პოლონეთი);

მცველები: გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), აკაკი შულაია (მერანი), რომან ჩაჩუა (შუქურა), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობოური (ორივე დინამო თბ), ანდრო გიორგაძე (მერანი);

ნახევარმცველები: გიორგი ზარია, გიორგი ჩაკვეტაძე (ორივე დინამო თბ), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (სიონი), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი, გიორგი ხარაიშვილი (ყველა საბურთალო), გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა);

თავდამსხმელები: გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი), ბექა მიქელთაძე (დინამო თბ), რომან ჭანტურია (ოლიანენსე, პორტუგალია), ლუკა იმნაძე (საბურთალო).

შვაინშტაიგერი კარიერას ამერიკაში გააგრძელებს

ინგლისური მედიის ცნობით, მანჩესტერ იუნაიტედის გერმანელი ნახევარმცველი კარიერას მლს-ში, კერძოდ კი, ჩიკაგო ფაირში გააგრძელებს.

32 წლის ნახევარმცველმა კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა, რის შედეგადაც გერმანელი წელიწადში 4,5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. როგორც ცნობილია, ბასტიანი ახალ კლუბს მომავალ კვირას შეუერთდება.

შვაინშტაიგერი იუნაიტედს ბაიერნიდან 2015 წლის ზაფხულში შეუერთდა. მას შემდეგ გერმანელმა ნახევარმცველმა კლუბის მაისურით 32 მატჩი ჩაატარა და 2 გოლის გატანა მოახერხა.

მიმდინარე სეზონში 32 წლის ფეხბურთელმა მხოლოდ 4 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მოედანზე მხოლოდ 134 წუთი დაჰყო.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

მსოფლიო რაგბი მეორე დონის ქვეყნებისთვის კალენდარს ცვლის

მსოფლიო რაგბმა ჩვენთვის რამდენიმე სასიამოვნო ინფორმაცია გააჟღერა. კონკრეტულად კი, საქართველოსა და დანარჩენ მეორე დონის გუნდებს ელიტარული გუნდების წინააღმდეგ მეტი ტესტის გამართვისა და რაც მთავარია, მათი მასპინძლობის შესაძლებლობა ეძლევათ. თუმცა, ეს ყველაფერი 2020 წელს დაიწყება, რადგან კალენდარი ამ პერიოდში დამტკიცდა და 2031 წლამდე გასტანს.

მზარდი სარაგბო ქვეყნების მეტი ინტეგრირება, კომერციული მდგრადობა და მოთამაშეთა კეთილდღეობის გაძლიერება ის ძირითადი პრინციპებია, რითაც ახალი საერთაშორისო კალენდრის შექმნისას იხელმძღვანელეს.

ახალ კალენდარში შენარჩუნებულია სამივე საერთაშორისო ფანჯარა, მაგრამ ერთი მათგანი შეიცვალა – თუ აქამდე ზაფხულობით ტესტები ივნისში ტარდებოდა, ახლა ერთი თვით გვიან, ივლისში გაიმართება. ეს ცვლილება გამოწვეულია „ზე რაგბის“ სეზონის შეუჩერებლივ ჩატარებისთვის, რის შედეგადაც „სანზაარის“ (ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკისა და არგენტინის გაერთიანება) ნაკრებებს ივლისის ტესტებისთვის მოსამზადებლად მეტი დრო მიეცემათ.

ივლისის ტესტები თვის საწყის სამ კვირაზე გადანაწილდება და მოიცავს 3 ტესტს, გარდა მსოფლიო თასის შემდგომი წლისა, როდესაც „სანზაარის“ კავშირები 2-ტესტიან სერიას გამართავენ.

რაგბი მსოფლიოს მასშტაბით მონაწილეთა, ქომაგთა და კომერციული შესაძლებლობების სახით მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. ამის გათვალისწინებით, ოკეანეთის, იაპონიის, აშშ-ის, კანადის, საქართველოს და რუმინეთის ნაკრებებისთვის უპრეცედენტო სამატჩო შესაძლებლობების მიცემით, ახალი განრიგი მიზნად ისახავს საერთაშორისო რაგბის კონკურენტუნარიანობის მეტად გაზრდას.

ამ ნაკრებებს ივლისისა და ნოემბრის ტესტ ფანჯრებში მიეცემათ „სანზაარისა“ და 6 ერის გუნდების წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობა.

ახალი კალენდრით გათვალისწინებულ პერიოდში პირველი და მეორე დონის გუნდებს შორის, მინიმუმ 110 მატჩი გაიმართება, რაც ადრინდელ განრიგთან შედარებით 39-პროცენტიან ზრდას წარმოადგენს;

„სანზაარის“ ქვეყნები ივლისში მეორე დონის ქვეყნებს უმასპინძლებენ;

საფრანგეთი და ინგლისი ოკეანეთში ტურნეებს მოაწყობენ, თუმცა ბობოლებს აშშ, კანადა და იაპონიაც უმასპინძლებენ;

საქართველო და რუმინეთი ივლისის ტესტებზე 6 ერის გუნდებს შინ მიიღებენ;

ნოემბრის ტესტებზე 6 ერის ყველა ნაკრები შინ წელიწადში მინიმუმ 6 თამაშს გამართავს მეორე დონის გუნდების წინააღმდეგ;

ბილ ბომონთი, მსოფლიო რაგბის თავმჯდომარე:

– ოპტიმიზირებულ კალენდარზე შეთანხმება, რომელიც 2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ათწლეულში მეტ გარკვეულობასა და მდგრადობას მოგვანიჭებს, ჩვენი სპორტის ისტორიაში ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს. შეთანხმების პროცესი კოპლექსური იყო და მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კავშირებს და პროფესიულ საკლუბო ლიგებს, რადგან ყველა მხარემ ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებით იხელმძღვანელა და გარკვეულ კომპრომისებზე წავიდა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს შეთანხმება შემდგარიყო, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შესანიშნავ თამაშს აუცილებლად დიდ სარგებელს მოუტანს. ეს განრიგი უდიდეს ბიძგს, სტიმულსა და მოტივაციას წარმოადგენს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რომელმაც წინა მსოფლიო თასზე ნაჩვენები შედეგით გაინაღდა იაპონია 2019-ის საგზური.

ახალ კალენდართან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გოჩა სვანიძემ** განაცხადა:

– ეს შესანიშნავი ამბავია საქართველოსთვის და ჩვენ ამ შეთანხმებას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით. ისევე, როგორც ბევრ სხვა კავშირს, ჩვენ გვჭირდება და გვინდა, რომ მსოფლიო თასის გარეთაც გვეძლეოდეს საუკეთესოებთან თამაშის შესაძლებლობა, რასაც ეს ახალი კალენდარი გვაძლევს. ჩვენ შემდგომი განვითარებისთვის გვაქვს მყარი და ძლიერი საფუძველი და მე მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიო რაგბს ასეთი უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობების მოცემისათვის.

რობენი ლევანდოვსკიზე განაწყენდა

გლადბახში მოგებული (1:0) მატჩის მსვლელობისას, კერძოდ კი, 85-ე წუთზე, გულშემატკივრები ჰოლანდიელი ვინგერის არიენ რობენის უცნაური საქციელის მომსწრე გახდნენ.

რობენი, რომელიც ამ დროს რენატუ სანჩესმა შეცვალა, კმაყოფილი არ გამოიყურებოდა და თავის კოლეგას რენატუ სანჩესის, კარლო ანჩელოტისა და დავიდე ანჩელოტის გამოწვდილ ხელს საპასუხოდ დემონსტრაციულად, უხეშად ჩარტყმით უპასუხა.

სათადარიგო სკამზე ჰოლანდიელი განაწყენებული დაჯდა, სადაც თანაგუნდელები მისი ამგვარი საქციელის გამო სიცილს ვერ იკავებდნენ. რაფინია, ფრანკ რიბერი და ბერნატი ხმამაღლა იცინოდნენ, ხოლო ხაბი ალონსომ და ჟერომ ბოატენგმა, რომლებიც ჰოლანდიელის გვერდით ისხდნენ, უფრო მოკრძალებულად გამოხატეს რეაქცია.

რობენის საქციელთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა **კარლო ანჩელოტიმ:**

– ის რომ, როდესაც ცვლიან, არიენი ბედნიერი არაა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მეც ვიყავი ფეხბურთელი. არასოდეს ხარ ბედნიერი, როდესაც კარგად თამაშობ და მაინც გცვლიან, როგორც გლადბახთან რობენის შემთხვევაში მოხდა.

როგორც ჩანს, **თომას მიულერმა** უფრო კარგად იცის დეტალები და თვლის, რომ ცვლილება სულაც არ იყო რობენის გაღიზიანების მიზეზი:

– რობენის პრობლემა შეცვლა არ ყოფილა, არამედ მატჩის 78-ე წუთის სცენა, როდესაც რობერტ ლევანდოვსკიმ 16 მეტრიდან დაარტყა იმის მაგივრად, რომ ხელსაყრელ პოზიციაზე მდგომი რობენისთვის პასი გაეკეთებინა. ჩვენ მაქსიმუმი წარმატება გვსურს. ეს სცენა გამაღიზიანებელია ბევრისთვის, მაგრამ ჩვენ ყველა ადამიანები ვართ და ჯობს, ფეხბურთელში ცეცხლი ენთოს, ვიდრე გულგრილობა. ჩვენ გვჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც წლებია ფეხბურთში არიან, უამრავი ტიტული აქვთ მოპოვებული და მაინც ემოციების ქვეშ იმყოფებიან.

მიულერის აზრს ეთანხმება თავად **ლევანდოვსკი:**

– შემეძლო არიენზე მეთამაშა, მაგრამ გადავწყვიტე დამერტყა. თამაშში ძალიან სწრაფად გიწევთ გადაწყვეტილების მიღება. არიენი ამ მომენტით იმედგაცრუებული დარჩა, მაგრამ ერთმანეთში პრობლემა არ გვაქვს.

თავად რობენი კი იმდენად გაღიზიანებული იყო, რომ უარი თქვა კომენტარებზე და ავტობუსში უკანასკნელი ავიდა.

დანარჩენ შემთხვევაში რეკორდმაისტერს ყველაფერი რიგზე აქვს. მიულერი 848-წუთიანი უგოლო სერიის შემდეგ კვლავ იტანს გოლს ბუნდესლიგაში (მისი ბოლო გოლი ბუნდესლიგაში 10 დეკემბერს დაფიქსირდა) და გუნდისთვის 3 ქულა მოაქვს.

შედეგები

20 მარტი

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

უნიონი-ნიურნბერგი 1:0

იტალია. სერია ბ

ენტელა-სალერნიტანა 0:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ოსერი-სტრასბურგი 0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

პლატანიასი-ირაკლისი 1:0

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ქალისა და მამაკაცის უნაყოფობაში კვებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში დღითიდღე აქტუალური ხდება საკვების როლი ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის მკურნალობაში. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად ჯანსაღი კვებისა და ვიტამინების კომპლექსის აქტიურ გამოყენებას რეპროდუქტოლოგთა მიერ ჩასახვამდე პერიოდში.

რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სრულყოფილი კვება ორსულობის დროს, თუმცა უმნიშვნელოვანესია კვება დაორსულებამდეც.

როგორია საკვების როლი ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის დროს, როგორ ხდება დაორსულება საკვების ხელშეწყობით, რა საკვები უნდა მიიღონ წყვილებმა და რა დოზებით? – ამ თემებზე ექიმი მარიამ პაპავა საუბრობს.

მარიამ პაპავა:

– საკვებიდან ვიტამინების შემცველობით გამოირჩევა ხილ-ბოსტნეული, ვინაიდან მასში დიდი რაოდენობითაა ბე9 ვიტამინი – ფოლიუმის მჟავა, რომელიც აუმჯობესებს კვერცხუჯრედის ხარისხს, რაც ზრდის ჩასახვის შანსს, ასევე ახდენს ნაყოფის საშარდე სისტემისა და ნერვული მილის ანომალიის პრევენციას მუცლადყოფნის პერიოდში, აუმჯობესებს მომავალი ბავშვის გონებრივი განვითარების ხარისხს.

– რომელი საკვები შეიცავს ფოლიუმის მჟავას?

– ხორცი, სტაფილო, ბროკოლი, ნესვი, ავოკადო, თევზი, მანგო, ყველი, ატამი, ოსპი. დადგენილია, რომ ყოველდღიურად 1 ჭიქა ოსპის მიღება ავსებს ორგანიზმს 357 მკგ ფოლიუმის მჟავით.

მარცვლეული, მასში შემავალი ბე12 ვიტამინის შემცველობით, ასევე დადებითად მოქმედებს განაყოფიერების პროცესზე. მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლების მიხედვით, ბე12 ვიტამინი ასტიმულირებს უჯრედთა დაყოფას, ზრდის სპერმის მოცულობას, აუმჯობესებს სპერმატოზოიდების მოძრაობის ხარისხს, უზრუნველყოფს ჰორმონული ბალანსის შენარჩუნებას ქალის ორგანიზმში. დადგენილია, რომ ქალებში, რომლებსაც აქვთ ვიტამინ ბე12-ის დეფიციტი, ხშირია ნაყოფის განვითარების შეწყვეტა და სპონტანური აბორტები.

– რომელი საკვები შეიცავს ბე12 ვიტამინს?

– რძე, კვერცხი, თევზი, თხილეული, ხამანწკა.

– ე ვიტამინის მნიშვნელობაზე რას იტყვით?

– ე ვიტამინის შემცველი საკვები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს უშვილო წყვილების პროგნოზს, ვინაიდან განაპირობებს საკვერცხეებისა და პლაცენტის ნორმალურ ფუნქციონირებას, არეგულირებს მამაკაცისა და ქალის ჰორმონულ ბალანსს, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევის პროცესს, რაც უზრუნველყოფს სქესობრივი ფუნქციის გაუმჯობესებას, აუჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს იმუნიტეტს.

ე ვიტამინის შემცველი საკვებია ნუში, მზესუმზირა, ავოკადო, ზეითუნის ზეთი, კვერცხის გული.

– რა დატვირთვა აქვს კვების რაციონში თევზეულს?

– თევზეული – ორაგული, სკუმბრია, სარდინი შეიცავს დიდი რაოდენობით ომეგა ცხიმოვან მჟავებს – ომეგა 3-ს, ომეგა 6-ს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაში. ომეგა-3-ის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იყო ცნობილი და მას ზრდის პროცესისათვის აუცილებელ ელემენტად თვლიდნენ, თუმცა მისი სასარგებლო თვისებების ფართო სპექტრის აღმოჩენა დანიელ მეცნიერ დაიერბერგს ეკუთვნის.

მეცნიერი დაინტერესდა იმ ფაქტით, რომ ესკიმოსები იშვიათად ავადდებოდნენ გულის დაავადებებით, მაშინ როდესაც მათი რაციონის ძირითად ნაწილს საკმაოდ ცხიმიანი საკვები თევზი და სელაპის ხორცი შეადგენდა.

თავის კოლეგებთან ერთად დაიერბერგი ესკიმოსების სისხლის შემადგენლობას სწავლობდა და 2-წლიანი თავდაუზოგავი შრომის შემდეგ მათ გამოიყვანეს ორი ცხიმოვანი მჟავა – ეიკოზაპენტაენური და დოკოზაჰექსაენური, რომლებიც არეგულირებს ჰორმონულ სპექტრს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას საშვილოსნოს ღრუში, აცხრობს ანთებით პროცესს მენჯის ღრუში, აუმჯობესებს კვერცხუჯრედის მომწიფების ხარისხს.

კვლევებით დადგენილია, რომ ბავშვები, რომელთა დედებიც ორსულობის დროს იღებენ ომეგა 3 – ცხიმოვან მჟავას, აქვთ უკეთესი გონებრივი შესაძლებლობები და მხედველობა, მისი დეფიციტი კი მცირე მასის ნაყოფთან და ბავშვებში ჰიპერაქტიურობის ჩამოყალიბებასთან ასოცირდება.

ფერგიუსონი მანჩესტერში ბრუნდება

მანჩესტერ იუნაიტედი მაიკლ კერიკის პატივსაცემად 2017 წელს მატჩს გამართავს, რათა კლუბში გატარებული 11 წელი სიმბოლურად აღნიშნოს.

საქველმოქმედო მატჩის მთავარ აფიშად მანჩესტერ იუნაიტედის 2008 წლის თერთმეტეულისა და მაიკლ კერიკის ოლ-სტარის დაპირისპირება გამოდგება, რომელიც 2017 წლის 4 ივნისს, კვირა დღეს „ოლდ ტრაფორდზე“ შედგება.

მანჩესტერ იუნაიტედის 2008 წლის თერთმეტეულის მწვრთნელი ლეგენდარული სერ ალექს ფერგიუსონი იქნება, ხოლო მაიკლ კერიკის „ოლ-სტარს“ ჰარი რედნაპი ჩაიბარებს.

იუნაიტედის დადასტურებულ წევრებს ედვინ ვან დერ სარი, გარი ნევილი, რიო ფერდინანდი, პოლ სქოულზი და რაიან გიგზი წარმოადგენენ, ხოლო „ოლ სტარის“ გუნდის – სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი და მაიკლ ოუენი. თუმცა ეს სრული ჩამონათვალი არ არის.

სპორტი

ხოტენაშვილი საქართველოს ჩემპიონია

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს ქალთა 74-ე ჩემპიონატი, რომლის საპრიზო ფონდი 17.500 ლარი იყო. გამარჯვებული საერთაშორისო დიდოსტატი ბელა ხოტენაშვილი გახდა, რომელიც მთელი ტურნირი ლიდერობდა და თავისი თამაშით მეტოქეებს პრაქტიკულად კონკურენციის შანსი არ დაუტოვა.

ბელამ დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრი, 5 პარტიაში გაიმარჯვა, 4 პარტია დაასრულა ფრედ და საკუთარ ელო-რეიტინგს 11,7 ქულა შემატა.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ნინო ხურციძე, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი 5,5 ქულით სალომე მელიამ დაისაკუთრა.

პირველ სამეულში გასული მონაწილეები იასპარეზებენ ლატვიის დედაქალაქ რიგაში (10-23 აპრილი) გასამართ ევროპის პირად ჩემპიონატზე ქალთა შორის.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა:

1.ხოტენაშვილი – 7 ქულა; 2.ხურციძე – 6 ქულა; 3.მელია – 5,5 ქულა; 4.გვეტაძე – 5 ქულა; 5.წერეთელი – 4,5 ქულა; 6.არაბიძე – 4,5 ქულა; 7.ხომერიკი – 4 ქულა; 8.კუჭავა – 3,5 ქულა; 9.მიქაძე – 3 ქულა; 10.ხუხაშვილი – 2 ქულა.

ვლადიმირ ვაისის გუნდმა სერბეთისთვის მზადება დაიწყო

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა სერბეთთან ოფიციალური და ლატვიასთან ამხანაგური მატჩებისთვის მზადება დაიწყო.

ვლადიმირ ვაისის გუნდმა პირველი ვარჯიში თბილისის ზღვაზე მდებარე ს.კ ზესტაფონის საწვრთნელ ბაზაზე არასრული შემადგენლობით გამართა. საწვრთნელ პროცესში 20 ფეხბურთელი მონაწილეობდა. გუშინდელი დღიდან კი ნაკრები უკვე სრულად შეიკრიბა – გუნდს შეუერთდნენ ნიკა კვეკვესკირი, სანდრო კობახიძე, ნიკა კაჭარავა, ოთარ კაკაბაძე და საწვრთნელ პროცესში ჩაერთნენ.

სრული შემადგენლობით ვაისი ორჯერად ვარჯიშს ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ 24 მარტს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ჩვენი მეტოქე სერბეთის ეროვნული ნაკრები იქნება. 28 მარტს კი – საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები ლატვიას დაუპირისპირდება.

მოამზადა მანუელ ყორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

22 მარტისათვის

ვერძი – ახალი ჩანაფიქრის განხორციელება იოლი არ იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის რისკთან არის დაკავშირებული. **ჯარო** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. **ბყუპები** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. **კირჩხიბი** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ამ თვისებების წყალობით განაიარაღებთ. **ლომი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ქალწული** – მოშურნე თქვენთვის კვანტის დადებას ცდილობს. პროვოკაციას ნუ წამოეგებით. კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. **სასწორი** – საკმაოდ რთული დღეა. შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **მშვილდოსანი** – საქმეების მოგვარებაში მეგობრები დაიხმარეთ. დღის დევიზია სიმამაცე და ოპტიმიზმი. **თხის რქა** – ძალზე იღბლიანი დღეა. ეს ეხება ფინანსებს, საყიდლებს, ყოფითი პრობლემების მოგვარებას. **მერწყული** – გავლენიანი მფარველის შემწეობით ყველა დაბრკოლებას გადალახავთ. ოჯახში მცირე კამათია მოსალოდნელი. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები თქვენთვის სასურველი კუთხით წარიმართება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 2. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 6. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. შუამავალი ბირჟაზე; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში მოსახლეობის რაოდენობით; 19. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

თარაზულად: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქალაქ ბარსელონის ძველი სახელწოდება; 7. სირიის დედაქალაქი; 9. სომეხთა მღვდელი; 10. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. გეომეტრიული ფიგურა; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 18. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 20. აეროპორტი რომში; 21. თაფლგამოცლილი ფიჭა; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. საზამთრო; 6. გუტი; 7. მარტენი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. ქუჯი; 16. კრეოლი; 18. ჰოკაიდო; 19. გროზნო; 21. ტენგე; 24. ტახტი.

თარაზულად: 1. მაღაზია; 3. კოდაკი; 8. ხანუკა; 9. ტუფი; 14. „ნოკია“; 15. მუღამი; 17. ლიმა; 20. „კიანტი“; 22. რიონი; 23. რიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. ჭაჭა; 28. ხაბიზგინა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფაუსტი; 2. გულაბი; 3. ტაიჭი; 5. ტუბა; 6. ჟენევა; 8. მთიელი; 11. ტაქსოფონი; 13. „არაბიკა“; 14. დიურერი; 15. სისტოლა; 19. რიგა.

თარაზულად: 1. ფარენგეიტი; 4. კურტაჟი; 7. ურთხელი; 9. ჭიათურა; 10. შტაბი; 12. კვესტურა; 16. პირსინგი; 17. მაჯონგი; 18. კრაისლერი; 20. ნებიერი; 21. სარი; 22. ნარმანია.

ირინა ონაშვილი მეორე ბიჭის დედა გახდა

„მის საქართველო 2003“-ის ტიტულის მფლობელი და მოდელი ირინა ონაშვილი მეორე ბიჭის დედა გახდა. მისი პატარა „პინეო ლაქშერში“ დაიბადა, რომელიც პირველი რევოლუციური სამშობიაროა საქართველოში. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

5 წლის საბას შემდეგ მოდელსა და მის მეუღლეს ლადო ვარძელაშვილს მეორე ბიჭი შეეძინათ. წყვილმა 7 წლის წინ იქორწინა. ეს მათი მეორე საერთო შვილია.

როგორც მათი მეგობრები სოციალურ ქსელში წერენ, ბავშვი ნამდვილი გოლიათია, 4.600-ს იწონის და სამშობიაროდან პირდაპირ სკოლაში აპირებს წასვლას.

ირინა და ლადო უამრავ მილოცვასა და საუკეთესო სურვილს იღებენ.

სელენა გომესმა ვოგისთვის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა



ამერიკელმა მსახიობმა და მომღერალმა სელენა გომესმა ჟურნალ ვოგისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რომლის კადრებიც ფოტოგრაფმა მერტ ალასმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

გომესმა სურათები ბიკინიში გამოწყობილმა გადაიღო. ის ვოგის აპრილის ნომრის გარეკანზე განთავსდება. ასევე გამოცემამ მომღერალს ინტერვიუ ჩამოართვა. მან აღიარა, რომ ჟურნალისტ რობ ჰასკელთან გულახდილი საუბრის დროს ნერვიულობდა, თუმცა საბოლოო შედეგით კმაყოფილი დარჩა.

ფოტოგრაფის გვერდს სოციალურ ქსელში 938 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. მსახიობის სურათებმა 47,3 ათასამდე მოწონება მიიღო. რაც შეეხება თავად გომესს, მის გვერდს 113 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს და ის ყველაზე პოპულარულია ინსტაგრამში.

ინდოელმა ფერმერმა რკინიგზელებს 20-ვაგონიანი მატარებელი მოუგო

სამპურან სინგხმა, ინდოეთის პენჯაბის შტატის მცხოვრებმა ფერმერმა, სასამართლოს გადაწყვეტილებით 20-ვაგონიანი სამგზავრო მატარებელი მიიღო, რომელიც კომპანია ინდიან რეილვეისს ეკუთვნოდა.

საწარმომ ფერმერისგან მიწა შეიძინა რკინიგზის გასაყვანად, თუმცა მისთვის კუთვნილი 10 მილიონი რუპია (დაახლოებით 150 ათასი დოლარი) არ გადაუხდია. ფერმერმა სასამართლოში სარჩელი ჯერ კიდევ 2015 წელს შეიტანა და საქმეც მოიგო, თუმცა კომპანიაში აცხადებდნენ, რომ მათ ასეთი თანხა არ გააჩნდათ. განმეორებითი სასამართლო მოსმენის შემდეგ, სინგხს მატარებლით სარგებლობის უფლება მიენიჭა.

შესაბამისი საბუთების მიღების შემდეგ, ფერმერი და მისი ადვოკატი ქალაქ ლუდხიანის სადგურში მივიდნენ და რკინიგზის შემადგენლობის მემანქანეს სასამართლოს გადაწყვეტილება გადასცეს. ამასთან სინგხმა მას რეისის დასრულების საშუალება მისცა, ვინაიდან, მისივე თქმით, მატარებლის გაჩერება მგზავრებს პრობლემებს შეუქმნიდა.

სამგლოვიარო განცხადებები

ჯემალ ძიგუას მოგონება



უკვე 1 წელია, ჩვენგან წავიდა მოსიყვარულე ადამიანი, რომელმაც დაგვიტოვა ცრემლი და მწუხარება. ჯემალ, დღე არ გავა, ცრემლით არ მოგიგონონ შენმა მეუღლემ, შვილებმა და შვილიშვილებმა, ჩემო მოსიყვარულე მეუღლევ. მსუბუქი იყოს შენთვის მიწა და ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. შენი სიყვარული სულ დარჩება შენი შვილებისა და შვილიშვილების გულში. უფალმა შეიწყალოს შენი სული.

მეუღლე

კლარა ადეიშვილი-ძიგუა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქართველი მუსიკოსები ნიუ იორკში კონცერტებს გამართავენ



ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები ბოლო პერიოდში აქტიურად მიდიან ამერიკაში და ბერკლისა და ჯულიარდის სასწავლებლებში სწავლობენ.

გამონაკლისი არც ჯაზმუსიკოსი პაპუნა შარიქაძეა, რომელიც მსმენელმა „ანა ბანას“ მუსიკალური პროექტიდან მომღერლის ამპლუაში გაიცნო.

პაპუნა ბერკლიში სწავლობს და მისი პირველი კონცერტი ნიუ იორკის ჯაზის სცენაზე ბლუ ნოუთში გაიმართება.

პაპუნა შარიქაძე:

– ერთი მაგარი ამბავი: 3 აპრილს დაიგეგმა ჩემი პირველი კონცერტი ბლუ ნოუთში, სადაც 4-დან 10 აპრილამდე ასევე ბექა გოჩიაშვილის კონცერტები იქნება ყოველ საღამოს!

არა მგონია, ნიუ იორკის ჯაზის სცენას ქართველების ამ დოზით კონცენტრაცია ისტორიაში ახსოვდეს...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალიფორნიაში კენდელ ჯენერი გაძარცვეს



ლოს-ანჯელესში ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის უმცროსი დის, სუპერმოდელ კენდელ ჯენერის სახლიდან 200 ათასი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა მოიპარეს.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მოდელი სახლში იმყოფებოდა და როდესაც საეჭვო ხმები შემოესმა, სამაშველო სამსახურში დარეკა. კენდელმა რამდენიმე ძვირფასეულობის დაკარგვა შენიშნა, რომლებსაც თავის საძინებელში ინახავდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ბინის გატეხვის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ჯერჯერობის ამ საქმეზე ეჭვმიტანილები არ ჰყავთ.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ეს ჰოლივუდ ჰილსის რაიონში ქურდობის პირველი შემთხვევა არ არის.

არკანზასში მოზარდმა 7-კარატიანი ალმასი იპოვა

პარკის „ალმასის კრატერის“ დათვალიერებისას, რომელიც ამერიკის არკანზასის შტატში მდებარეობს, მოზარდმა იპოვა ძვირფასი ქვა, რომლის წონამ 7,44 კარატი შეადგინა.

14 წლის კალელ ლენგფორდი პარკში მშობლებთან ერთად იმყოფებოდა, რათა ეცადა ალმასი ეპოვნა. „ალმასის კრატერის“ დამთვალიერებლებს უფლება ეძლევათ თან წაიღონ ნაპოვნი მინერალი მისი ღირებულების მიუხედავად. ძებნიდან 30 წუთში მოზარდმა პირველი მინერალი იპოვა. მას შემდეგ, რაც ძვირფასი ქვა ადგილობრივ კვლევით ცენტრში მიიტანეს, თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ ბიჭმა პარკის არსებობის ისტორიაში სიდიდით მეშვიდე მსხვილი ალმასი იპოვა.

პარკის წარმომადგენლის უიმონ კოკსის თქმით, ალმასი, რომელიც ლენგფორდმა იპოვა, ყავისფერი შეფერილობისაა და ზომით ლობიოს მარცვლის ხელაა. მოზარდი აპირებს, ნაპოვნი ქვა სუვენირის სახით დაიტოვოს და მას „სუპერმენის ალმასი“ დაარქვა.

ამერიკაში შიმპანზეს პიროვნებად ცნობის საკითხი განიხილება

აშშ-ის ნიუ-იორკის საოლქო უზენაესი სასამართლოს სააპელაციო განყოფილებამ დაიწყო საქმის განხილვა, რომლითაც უნდა გადაწყდეს ტყვეობაში მყოფი ორი შიმპანზის – ტომის და კიკოს პიროვნებად ცნობის საკითხი. ამ ინფორმაციას ამერიკის ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის ვებ-გვერდი ავრცელებს.

გაერთიანების პრეზიდენტის, ადვოკატ სტივენ უაიზის აზრით, ამერიკის ხელისუფლებამ ეს ადამიანის მსგავსი მაიმუნები უნდა აღიაროს პიროვნებებად და მთელი რიგი ისეთივე უფლებები მიანიჭოს, როგორითაც ადამიანები სარგებლობენ. იურისტები მოითხოვენ, რომ ისინი გალიაში აღარ ამყოფონ და ფლორიდის შტატში მდებარე ნაკრძალში გაუშვან.

უაიზი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის კანონების შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიულად პიროვნებებად შესაძლებელია აღიარებულნი იქნენ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ორგანიზაციებიც, შესაბამისად, ეს დასაშვებია შიმპანზეების შემთხვევაშიც.

თავის მხრივ ნიუ-იორკში მცხოვრები ტომის და კიკოს მფლობელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ველურ ბუნებაში, ადამიანის მზრუნველობის გარეშე, მათი შიმპანზეები ვერ გადარჩებიან. კიკოს პატრონის კარმენ პრესტის თქმით, მისი მაიმუნი ყრუა და მას ვეტერინარის მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება, ხოლო პატრიკ ლევერი, რომელიც ტომის პატრონია, აცხადებს, მაიმუნი უნდა დაეძინებინათ და სწორედ ამიტომ აიყვანა ეს ცხოველი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კენედის დაავადება ქალებსაც ემართებათ — ქეთი დევდარიანის პასუხი ნინო კუზანოვას ბრალდებებს

– ბევრი ადამიანი აღშფოთდა, რომ მოვატყუეთ და ამიტომ მინდა, რაღაცნაირად დავამშვიდო, გადაუმწმებლად არაფერს ვწერთ, – წერს „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტი ქეთი დევდარიანი და შემდეგ სტატუსს აქვეყნებს.

ქეთი დევდარიანი:

– ნათიას დაავადებას ქალბატონი ნინო ნადირაძე-კუზანოვა გამოეხმაურა და მტკიცებით ფორმაში აღნიშნა, რომ ეს დაავადება მხოლოდ კაცებს ემართებათ და მაყურებელი შეცდომაში შევიყვანეთ. მაყურებელმა რომ მართლაც სიცრუეში არ იცხოვროს, აქვე დავდებ ლინკს, თუ რა ხდება სინამდვილეში.

ნინო კუზანოვამ კი სოციალურ ქსელში ნათიას დაავადებასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი განათავსა:

– ჩცდ-ში საწყალ გოგოს კენედის დაავადება რომ დამართეს, მხოლოდ კაცებს ემართებათ, X ქრომოსომასთან შეჭიდული რეცესიული გენია.

კუზანოვას პასუხად ქეთი დევდარიანმა დაავადებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ლინკი განათავსა და აღნიშნა: „როცა ბრალს გვდებენ, ვცდილობთ ხოლმე, არგუმენტირებული პასუხი გავცეთ“.

ქეთი დევდარიანის სტატუსს ნინო კუზანოვას გამოხმაურება და შექმნილი დისკომფორტის გამო წუხილი მოჰყვა.

პროგრამა

ოთხშაბათი 22 მარტი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00, 03.00** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**ჭეშმარიტი ფასეულობა**" (რ.ზელვეგერი) **01.10** მხ/ფ "**უცხო ჩვენს შორის**" (მ.გრიფიტი)

08.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **09.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "აღშფოთდით" **11.30** დ/ფ "ტაილანდი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაბარქალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული სხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**სახიფათო კაპიტალი**" 3 სერ. **01.30** მხ/ფ "**ჩინური კვარტალი**"

06.00, 16.55 სერ. "**ოქროს გალია**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** სერ. "**გოგორა**" **22.30** მხ/ფ "**წყევლა**" **00.35** მხ/ფ "**ნიშნები**" **02.30** მხ/ფ "**მოპარული სიცოცხლეები**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" **11.10** ერთი წვეთი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ **16.40** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **16.50** ეპოქა და ადამიანები **17.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დასთა თუთაშხია**" IV სერ. **20.40** ძილი ნებისა "ღვთისმშობლის ხატი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა" 1 ნაწ **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი **01.00** დ/ფ "ვარძია" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებიან) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 1.20** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**შარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**ბემი**" **23.10** სერ. "**ესკობარი**" **1.00, 2.10** "კონტაქტი" **2.30** სერ. "**ქალბატონი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 მარტისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4816
- ევრო — 2.6704
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0812
- 100 რუსული რუბლი — 4.3181

ამინდის პროგნოზი 22 მარტისთვის

10 მარტიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

დასახვრეტი საქმე

წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის“ შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

17 მარტიდან

მიხეილ კვესელავა

ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ნიკოლოზ ბასილაშვილი მაიამის მასტერსზე ითამაშებს

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი მაიამიში მასტერსის ტურნირზე მიიღებს მონაწილეობას.

ბასილაშვილი რეიტინგის მიხედვით ტურნირზე ვერ ხვდებოდა და საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გაევლო, თუმცა ბოლო მომენტში ტურნირს ტომას ბერლოკი გამოაკლდა და ნიკა მის მაგივრად ჩასვეს.

პირველ შეხვედრას ბასილაშვილი ვეტერან ესპანელ ჩოგბურთელ ტომი რობრედოსთან გამართავს, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში მისი მომდევნო მეტოქე ამერიკელი სემ ქიურეი იქნება, რომელიც მსოფლიოს 22-ე ჩოგანია.

რობრედო ამჟამად ასეულს მიღმაა, მაგრამ თავის დროზე ის ცნობილი ჩოგბურთელი იყო, რომლის ანგარიშზეც 12 მოგებული ტურნირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს შესჩივის:

– ჩემმა მეზობელმა სისხლი გამიშრო.

– რაშია საქმე?

– სათევზაოდ მივდივარ და ჩემ ცოლთან დაძვრება, სახლში ვარ და ბადიდან თევზებს მპარავს.

•••

დიდი ხნის უნახავი ნათესავები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე?

– მუშაობა დავიწყე.

– სად?

– სახანძროში.

– მერე, კმაყოფილი ხარ?

– მაგარი სამსახურია! შესანიშნავი რეჟიმი გვაქვს, ხელფასი მაღალი, კოლექტივი ბრწყინვალე, მაგრამ, როგორც კი დარეკავენ, ხანძარიაო, მაშინვე ცუდად ვხდები...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, მონღოლეთში ასეთი ჩვეულება ჰქონიათ, ოჯახში ბიჭი რომ დაიბადება, მამა ხეს რგავს. ხოლო თუ შვილი უტვინო გამოვა, იმ ხეს ჭრიან...

– ვიცი, ნამყოფი ვარ მონღოლეთში, სულ ველებია, ხეს ვერსად შეხვდები.

•••

მამაკაცი ბარში შევიდა, დახლთან მოკალათდა და ორმაგი ვისკი შეუკვეთა. დალია, მერე პიჯაკის ჯიბიდან რაღაც სურათი ამოიღო, დახედა და ისევ ორმაგი ვისკი შეუკვეთა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ბარმენმა ვეღარ მოითმინა და ეკითხება:

– რაც ვისკი მაქვს, თუ გინდა, სულ დაგისხამ, მაგრამ მითხარი, რას უყურებ სურათზე, შეკვეთის მოცემამდე?

– ჩემი ცოლის სურათია. როგორც კი შევატყობ, რომ მომწონს, სახლში წავალ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იაპონური მანქანა ვიყიდე, გადაცემათა კოლოფი გონებით იმართება...

– მერე?

– ადგილიდან ვერ დავძარი მანქანა.

– რატომ?

– ხელის მუხრუჭიდან ვერ ვათავისუფლებ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

21 მარტიდან

რეი ბრედბერი

მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი

ნემანია მატიჩი: „საქართველოსთან გამარჯვება გვინდა“



ლონდონის ჩელსისა და სერბეთის ნაკრების ნახევარმცველმა ნემანია მატიჩმა საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ სერბეთი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

მატიჩის თქმით, საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და მასთან სიფრთხილეა საჭირო.

– საქართველოსთან მხოლოდ გამარჯვებისთვის ვითამაშებთ. ვიცით, რომ ჩვენი მეტოქე ძლიერია, რაც უელსში გამართულმა შეხვედრამაც დაადასტურა. მიუხედავად ამისა, ვალდებულნი ვართ, მოედანზე მოსაგებად გავიდეთ, – განაცხადა ნემანია მატიჩმა. საქართველოსა და სერბეთის დაპირისპირება პარასკევს, 24 მარტს, თბილისის დროით 21.00 საათზე დაიწყება.

ალექსანდრ ლაკაზეტი ზაფხულში ატლეტიკოს ფეხბურთელი გახდება



ლიონის ლიდერი ალექსანდრ ლაკაზეტი, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, ზაფხულში, სავარაუდოდ, მადრიდის ატლეტიკოს ფეხბურთელი გახდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლაკაზეტმა უკვე თანხმობა განაცხადა ატლეტიკოში თამაშზე.

აღსანიშნავია, რომ ლაკაზეტი მადრიდულ გუნდში მესამე ფრანგი ფორვარდი იქნება, რადგან ატლეტიკოში უკვე თამაშობენ ანტუან გრიზმანი და კევინ გამეირო.

მიუხედავად ამისა, ყველაფერი ასე მარტივად არ არის, რადგან ლიონი ლაკაზეტში 45 მილიონ ევროს ითხოვს, ატლეტიკოს კი ამდენის გადახდა არ სურს.

ზაფხულამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა და მხარეები, შესაძლოა, იქამდე შეთანხმდნენ კიდეც.

ჯვროსვოხდი ა



შვეულად: 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. პურეული მცენარე; 16. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. ღომში ჩაზელილი სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. რაიმეს მიმდინარეობის სისწრაფე.

თარაზულად: 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 14. კომბინაცია პოკერში; 15. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ეროვნული ცენტრი; 22. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 23. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 25. თევზის ძვალი; 26. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა